# საჰბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 10 აპრილი 2008 №080 (3304) ფასი 50 თეთრი


# სამი გოლით თითქმის ფინალშია

## ამერი 4:1 ბორჯომი

### კამერუნელის ქართული სიტყვა

ბოლო წუთზე, გიორგი ელბაქიძის კარიერაში პირველი გოლით, „ამერმა“ სამბურთიანი უპირატესობა მოიპოვა საპასუხო ნახევარფინალის წინ და თითქმის ფინალშია, მაგრამ ესეც გავიხსენოთ: ერთი წლის წინ, „სიონთან“ პირველი ნახევარფინალური მატჩის ასევე სამი ბურთით მოგების მერე, საპასუხოში „ამერს“ საქმე ისე წაუვიდა, თამაში გადასარჩენი გაუხდა და ფინალში დამატებით დროში გატანილი გოლის წყალობითღა გავიდა. თანაც ამ სეზონის ჩემპიონატის მატჩში „ბორჯომმა“ „ამერს“ თავისთან 3:0 მოუგო...



ბადრი კაპანაძის ფოტო

# ვივახშმოთ და ვიომოთ!

## საქართველოს პრობლემები გაუმიზეზდა

ევროპის ერთა თასი

## რუსეთი — საქართველო

12 აპრილი. კრასნოიარსკი. 11 საათი

გუშინ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიმ ლეინმა სარუსეთოდ ძირითადი და სათადარიგო შემადგენლობა ჩამოწერა და გუნდი დანომრა. საქართველოს ნაკრები მეოთხე დღეა, კრასნოიარსკშია შეკრებაზე, სადაც შაბათს 2007-08 წლების ერთა თასის მთავარ მატჩში რუსეთს დაეჯახება.

სამწუხაროდ, პრობლემები არ ელევა ჩვენი ნაკრების სამწვრთნელო შტაბს. გუშინდელ ვარჯიშზე დაჭიმული კუნთი გაუმიზეზდა გიორგი შკინინს, არადა, ლეინს ის ძირითად რაზმში ჰყავდა ჩაწერილი. თუ შკინინმა ტრავმა ხვალამდე ვერ მოირჩინა, მაშინ მის ადგილს სანდრო თოდუა დაიკავებს და შესაძლოა, ჩვენებს 21-კაცით მოუწიოთ რაგბობა, რადგან შკინინის შემცვლელის გამოძახება ველარ ესწრება.

გუშინ კრასნოიარსკში დავურეკეთ საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გია ნიჟარაძეს და ბოლო ამბები გამოვკითხეთ: „თუ არ ჩავთვლით შკინინის ტრავმას, ყველაფერი ნორმალურადაა. რატი ურუშაძის კლუბის „ენისეის“ ხელმძღვანელობა თავზე გვყვება. სავარჯიშოდ ყველანაირ პირობებს გვიქმნის. ხვალ რუსეთის რაგბის კავშირის უფროსობასთან გვაქვს ოფიციალური ვახშამი. ჯერჯერობით კი მათგან არავინ შეგვხვედრია. ხვალ მატჩის ადგილას, ცენტრალურ სტადიონზე ვივარჯიშებთ. ბიჭები ძალიან სერიოზულად უდგებიან ამ მატჩს, რომ იტყვიან, კბილებს ილესავენ“.



გიორგი შკინინი

### ძირითადი შემადგენლობა

15 ოთარ ბარკალაია
14 ირაკლი ჩხიკვაძე
13 დავით კაჭარავა
12 რევაზ გიგაური
11 გიორგი შკინინი
10 ლაშა მალაღურაძე
9 ირაკლი აბუსერიძე (კაპ)
8 დიმიტრი ბასილაია
7 გიორგი ჩხაიძე
6 რატი ურუშაძე
5 მამუკა გორგოძე
4 კახა უჩავა
3 დავით ქუბრიაშვილი
2 ირაკლი ნატრიაშვილი
1 გოდერძი შველიძე

### სათადარიგონი

16 დავით დადუნაშვილი
17 სიმონ მაისურაძე
18 გიორგი ნემსაძე
19 შალვა სუთიაშვილი
20 ბიძინა სამხარაძე
21 მერაბ კვირიკაშვილი
22 სანდრო თოდუა




ქირავდება

საოფისე ფართები რუსთაველზე
I ბინა 86 მ² - 800$ + მოსაკრებლები კოსტავას 6
II ბინა 99 მ² - 900$ + მოსაკრებლები კოსტავას 6

საოფისე ფართი ლენინის მოედანთან
75 მ² (ევრო რემონტით) - 800$ + მოსაკრებლები პუშკინის 6

მობ: 895-22-91-22

# წარმატების გარანტიას ვერავინ მოგვცემს

## გია გურულს ოლიმპის და დინამოს ვარიანტები აქვს



საქართველოს ეროვნული ნაკრები კიდევ ერთხელ დარჩა უმწვრთნელოდ. სანამ კლაუს ტოპმიოლერი ჩამოვიდოდა, ჩვენს ნაკრებს ფრანგი ალენ ჟირესი თავკაცობდა, რომლის თანაშემწეც გია გურული იყო. გურული გუშინწინ „დინამო“ — „ზესტაფონის“ სათასო მატჩს ესწრებოდა და ჩვენც ჯერ ამ მატჩის შთაბეჭდილებები გაგვიზიარა, მერე კი სხვა თემებსაც შევეხეთ...

— შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა, ისე, ჩემპიონატის ლიდერებს რომ შეეფერებათ. ჩემი აზრით, „ზესტაფონი“ ოდნავ უკეთესად გამოიყურებოდა.

— შეიძლება ჩაითვალოს, რომ „ზესტაფონი“ ფინალშია?

— თანაბარი დონის გუნდებია და საპასუხო შეხვედრაში ყველაფერი შეიძლება, მოხდეს. „ზესტაფონს“ ის უპირატესობა აქვს, რომ მის სტადიონზე ბევრი მაყურებელი მივა და უქომაგებს.

— ამ ორივე გუნდში მოთამაშე გაბონელი ფეხბურთელები სწორედ თქვენი რეკომენდაციით მოხვდნენ საქართველოში. საინტერესოა, მათ თამაშს როგორ შეაფასებთ?

— დიდიე ოვონომ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მაღალი კლასის მეკარეა, ჟორჟ აკირემიმ ტრავმა ახლახან მოიშუშა და ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არის. პოლ კესანმა და ერნესტ აკუასაგამ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ეტიენ ბიტოოს კი თამაშში ჩართვა გაუჭირდა...

— უახლოეს ხანში კიდევ ხომ არ ჩამოიყვანთ რომელიმე ქართული გუნდისთვის აფრიკელ ფეხბურთელებს?

— არის წინადადებები, თუმცა ეს ამ სეზონში არ მოხდება... მომავალში კი რუსთავის „ოლიმპს“ სურს სერიოზული გუნდის გაკეთება და მისთვის შევიგულებ ფეხბურთელებს. თბილისის „დინამომაც“ გამოთქვა სურვილი და ვნახოთ...

— საქართველოს ნაკრებსაც შევეხოთ. დიდი ხანი არ არის, რაც გერმანელი კლაუს ტოპმიოლერი გაუშვეს. როგორ შეაფასებთ მის მუშაობას საქართველოში?

— ჩემგან რამის თქმა არაკორექტული იქნება და ამ კითხვაზე პასუხს ვერ გაგცემთ.

— თქვენ როგორ ფიქრობთ: ეროვნული ნაკრები ისევ უცხოელს უნდა ჩააბარონ თუ ქართველს?

— კვალიფიციური უცხოელი მწვრთნელი სიახლეს ნამდვილად შემოიტანს ჩვენი ნაკრების თამაშში. ისე კი, ძნელია მსჯელობა, რომელი უკეთესი იქნება.

— ერთ-ერთ ვარიანტად თემურ ქეცბაიას ჩამოყვანაც განიხილება... ამ კანდიდატურაზე რას იტყვით?

— თემური ევროპაში მუშაობს და საკმაოდ წარმატებითაც. მე და თემური დიდი ხნის მეგობრები ვართ, მისი ხასიათი ვიცი და კარგი იქნება, თუ მას ჩამოიყვანენ.

— როგორ ფიქრობთ, ახალ შესარჩევ ციკლში წარმატების მიღწევა შესაძლებელია?

— საკითხს ასე არ უნდა მივუდგეთ. რეალურად შევაფასოთ, ამ წუთში რამდენი მაღალი კლასის ფეხბურთელი გვყავს. ვინც არ უნდა მოვიდეს მწვრთნელად, ჯგუფიდან გასვლის გარანტიას, ვერავინ მოგვცემს. წარმატებისკენ ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა წავიდეთ — მივხედოთ ბავშვთა ფეხბურთს, ეროვნულ ჩემპიონატს... წარსულში წარმატებები გვქონდა, ახლა წინ უნდა გავიხედოთ, მერე კი შედეგიც მოვა.

**ნუკრი ლოლაძე**



## ანჟის და ნავალოვსკის წითელი პენთოთ

**ქართველებით** გაძეძგილმა მახაჩყალის „ანჟიმ“ რუსეთის პირველი დივიზიონის მეოთხე ტურში სტუმრად 0:4 წააგო კრასნოდარის „კუბანთან“ და ცხრილის შუაშია. არადა, ამ ტურის წინ გათამაშებას ერთპიროვნულად ლიდერობდა.

59-ე წუთზე, როდესაც დაღესტნელები მინიმალური სხვაობით აგებდნენ, გიორგი ნავალოვსკი მეორე ყვითელი ბარათის გამო გააძევეს.

ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა და ვალერი აბრამიძე ძირითადში იყვნენ, რევაზ ჯიქია 65-ე წუთზე შევიდა შეცვლაზე, ზურაბ არზიანი და მიხეილ აშვეთია სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ, ხოლო რევაზ ბარაბაძე განაცხადში არ გახლდათ.

**ლუკა თალაკვაძე**

# რუსული ენა არსად დამჭირვებია

მოლდოვური „დაჩიას“ ქართველმა ლეგიონერმა ჯაბა დვალმა „ნისტრუსთან“ (2:2) საშინაო მატჩში მეორე დუბლი მიითვალა. პირველად წყვილი გოლი ჩვენებურმა პირველ წრეში „ოლიმპიას“ გაუტანა. დვალი „დაჩიას“ ერთ-ერთი საუკეთესო მეგოლეა და ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში რომ მოექცა, გასაკვირი არაა. ერთია, დვალს რუსულად ლაპარაკი უჭირს და თარჯიმნობა მისმა თანაგუნდელმა ლევან კორღალიძემ ითავა...

## დვალმა კორღალიძის პირით ილაპარაკა



— ჩემი მშობლიური ენა ქართულია. თან აქამდე ყოველთვის საქართველოში ვთამაშობდი და ჩემთვის რუსულის სწავლა არანაირ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. სხვა რომ ლაპარაკობს რუსულად, მესმის, რასაც ამბობს, მაგრამ თავად მიჭირს საუბარი.

— „ნისტრუსთან“ დუბლს რა კომენტარს გაუკეთებდით?

— ყოველთვის სასიამოვნოა, როდესაც ძლიერი მეტოქის კარში გაგაქვს გოლები. საწყენი მხოლოდ ის არის, რომ უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. მატჩს ვიგებდით და ვალდებულნი ვიყავით, საქმე ბოლომდე მიგვეყვანა.

— და რა იყო ამის მიზეზი?

— მოედნის საფარიც ცუდი იყო და, სამწუხაროდ, იღბალიც არ გვწყალობდა.

— ეს მეორე მოლდოვური დუბლია, რომელი უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენთვის — ეს თუ პირველ წრეში „ოლიმპიას“ კარში გატანილი ორი გოლი?

— „ნისტრუ“ უფრო ძლიერი გუნდია და ვთვლი, რომ მის კარში გატანილი ბურთები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ოლიმპიასთან“ გატანილი დუბლი იყო.

# საქართველოს ჩემპიონატი მეორე ლიგა

### აღმოსავლეთი ზონა

**მე-19 ტური**

დურუჯი 5:1 ბახტრიონი
ზოოვეტი 0:0 ალგეთი
კახეთი 2 0:0 ალაზანი
მაუდი 1:5 ჰერეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზოოვეტი | 19 | 13 | 2 | 4 | 43:14 | 41 |
| ალგეთი | 18 | 12 | 5 | 1 | 39:14 | 41 |
| ჰერეთი | 19 | 12 | 4 | 3 | 43:14 | 40 |
| ქიზიყი | 16 | 12 | 2 | 2 | 59:13 | 38 |
| სიონი 2 | 17 | 11 | 3 | 3 | 43:14 | 36 |
| სამგორი | 17 | 7 | 4 | 6 | 33:23 | 25 |
| დურუჯი | 19 | 8 | 0 | 11 | 30:40 | 24 |
| გარეჯი | 18 | 6 | 6 | 6 | 29:20 | 24 |
| ალაზანი | 18 | 6 | 3 | 9 | 23:29 | 21 |
| ოლიმპი 3 | 18 | 5 | 4 | 9 | 29:42 | 19 |
| კახეთი 2 | 19 | 3 | 5 | 11 | 23:41 | 14 |
| მაუდი | 18 | 2 | 1 | 15 | 17:68 | 7 |
| ბახტრიონი | 18 | 0 | 1 | 17 | 9:88 | 1 |

### ცენტრალური ზონა

**მე-19 ტური**

ლოკომოტივი 2 2:0 ბორჯომი 2
მერანი 2 0:2 ამერი 3
აწყური 1:2 სპარტაკი 2
სპარტაკი 0:3 ნ. დინამო
ორბები 3:1 35-ე სკოლა
ლიახვი 0:1 გაგრა 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორჩი დინამო | 17 | 15 | 1 | 1 | 52:12 | 46 |
| ორბები | 18 | 15 | 1 | 2 | 44:12 | 46 |
| სპარტაკი 2 (ცხ) | 19 | 13 | 2 | 4 | 43:21 | 41 |
| ამერი 3 | 18 | 9 | 6 | 3 | 30:10 | 33 |
| ლოკომოტივი 2 | 18 | 8 | 4 | 6 | 30:25 | 28 |
| 35-ე სკოლა | 18 | 8 | 2 | 8 | 41:36 | 26 |
| სპარტაკი (თბ) | 18 | 7 | 3 | 8 | 24:23 | 24 |
| გაგრა 2 | 18 | 5 | 4 | 9 | 22:27 | 19 |
| ბორჯომი 2 | 16 | 5 | 3 | 8 | 20:31 | 18 |
| მერანი 2 | 18 | 4 | 4 | 10 | 21:42 | 16 |
| დუშეთი | 18 | 3 | 5 | 10 | 18:40 | 14 |
| ლიახვი | 18 | 3 | 1 | 14 | 17:56 | 10 |
| აწყური | 16 | 2 | 0 | 14 | 15:42 | 6 |

### დასავლეთი ზონა

**მე-15 ტური**

ბათუმი 2 3:2 გაგრა 3
იმერეთი 1:0 სძური
მარგვეთი 2:1 მერცხალი
მაღაროელი 3:2 მერანი 2 (მ)
ტორპედო 2 0:3 გურია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 16 | 10 | 5 | 1 | 29:12 | 35 |
| ბაია | 14 | 10 | 3 | 1 | 29:11 | 33 |
| მერანი 2 (მ) | 16 | 9 | 3 | 4 | 32:20 | 30 |
| სქური | 16 | 7 | 3 | 6 | 26:18 | 24 |
| გაგრა 3 | 16 | 6 | 3 | 7 | 23:23 | 21 |
| იბერია XXI | 15 | 6 | 3 | 6 | 16:20 | 21 |
| მაღაროელი 2 | 16 | 6 | 3 | 7 | 18:25 | 21 |
| მარგვეთი | 16 | 5 | 4 | 7 | 30:32 | 19 |
| ბათუმი 2 | 15 | 5 | 1 | 9 | 16:30 | 16 |
| იმერეთი | 16 | 4 | 4 | 8 | 17:22 | 16 |
| ტორპედო 2 | 16 | 2 | 6 | 8 | 10:23 | 12 |
| მერცხალი | 16 | 2 | 6 | 8 | 11:22 | 12 |

www.pfl.ge

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

თბილისი. 9 აპრილი. 16 საათი. ამერი. 500 მაყურებელი

### ამერი 4:1 ბორჯომი

1:0 ჩიკვილაძე (13), 2:0 გოცირიძე (52), 3:0 მემარნიშვილი (72), 3:1 ჩხეტიანი (82), 4:1 ელბაქიძე (90)

| ამერი | ბორჯომი |
|---|---|
| **ამერი:** ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი, დავითნიძე, ჩიკვილაძე, შალამბერიძე (მემარნიშვილი 46), დობროვოლსკი, დიდავა, დოლიძე (ტატანაშვილი 62), დეკანოსიძე, დავითაშვილი (ელბაქიძე 76), რ. გოცირიძე<br>*სათადარიგონი:* ქვაჩახია; მეხსი, სილაგავა, ჩიმაკაძე<br>**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე | **ბორჯომი:** სეფიაშვილი, ქარქუზაშვილი, გურული, კირთაძე, თედიაშვილი, გივი ჩხეტიანი, ქავთარაძე, ვ. ბოლქვაძე (ნასყიდაშვილი 90), ჩირიკაშვილი, გუგავა (გოგიჩაიშვილი 62), დერინგი<br>*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; ნ. ლომიძე, ხითარიშვილი, დათუაშვილი<br>**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე |

**გაფრთხილება:** ჩირიკაშვილი (9), ჩიკვილაძე (15), ქავთარაძე (43), ჩიკვილაძე (82)

**გაძევება:** დერინგი (36), ჩიკვილაძე (82)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ზ. ჯვარიძე, ბ. ჭიჭინაძე, დ. ხარიტონაშვილი

**დამკვირვებელი:** რ. ტალიაშვილი; **დელეგატი:** შ. ბაქრაძე

# გახსოვდეს ბოლნისი, უფრთხილდი ბორჯომს!

## ვინ მასწავლა ეს ოხერი ქართული

ილია ნანობაშვილი



დონალდ დერინგ ჯუსი მოედნიდან ძლივს გაიყვანეს

ვაჟა ქადიაშვილის ფოტოები



რევაზ გოცირიძის (№31) საგოლე თავური



მატჩამდე 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნის საპატივცემულოდ წუთიერი დუმილი იყო

**ნამატჩევს** „ამერის" ერთ-ერთი გულშემატკივარი ხარობდა, ხომ ნახეთ, როგორ გავაგდებინე ის ზანგიო. ლაპარაკია 36-ე წუთზე მომხდარ ეპიზოდზე და გვაპატიონ გოლების ავტორებმა თუ ასისტენტებმა, მატჩის აღწერა „დინამოდან" „ბორჯომში" განათხოვრებულ კამერუნელ ლეგიონერ დონალდ დერინგ ჯუსთან დაკავშირებული მომენტიდან უნდა დავიწყოთ...

„ბორჯომი" აუტს აწოდებდა, გლდანელთა იმ ქომაგმა დერინგს შეურაცხყოფა მიაყენა და მერე FUCK YOU-ც მიაძახა, კამერუნელმა ლეგიონერმა კი სამასოიანი ქართული სიტყვით დაუბრუნა ხურდა და ტრიბუნები ახარხარა. ისე, მაგარია, არა? გლდანელი ინგლისურად იგინებოდა, კამერუნელმა კი ქართულად უპასუხა.

...თამაში გაგრძელდა, მაგრამ სადღაც ერთი წუთის შემდეგ მეოთხე მსაჯი დავით ხარიტონაშვილი მთავარ არბიტრ ლევან ფანიაშვილთან მივიდა და გინებების გაცვლა-გამოცვლა აცნობა, ფანიაშვილმაც წითელი ბარათი აუფრიალა დერინგს, რასაც ბორჯომელთა გაფთრება მოჰყვა, ფეხბურთელებს ძლივს აკავებდნენ. სათადარიგოთა სკამიდან „ბორჯომის" მთავარი მწვრთნელის თანაშემწე გიორგი სუხიაშვილი გამოვარდა და ხარიტონაშვილს უწმაწური სიტყვები უთხრა.

ერთს შევნიშნავთ: სადაც პრინციპულობაა, ფანიაშვილს სუხიაშვილიც უნდა გაეძევებინა.

თამაში 5-10 წუთით შეჩერდა, „ამერის" გულშემატკივრებმა და „ბორჯომის" ფეხბურთელებმაც მწარე უთხრეს ერთმანეთს, ხოლო სტუმართა ქომაგებმა დაიქადნეს, არ გინდათ ბორჯომში ჩამოსვლა? ნახავთ, რა დღეს დაგაყრითო...

დერინგი კი... ალბათ ძალიან ნანობდა, რატომ ვისწავლე უწმაწური ქართული სიტყვებიო. სახეზე ხელები აეფარა და ტიროდა, ძლივს გაიყვანეს მინდვრიდან. ნამატჩევსაც ცხადია, უხასიათოდ იყო, თავისთვის ჩაფიქრებული იდგა გასახდელთან.

ამ ეპიზოდამდე „ამერი" 1:0 იგებდა: კობა შალამბერიძის ჩაწოდებულ კუთხურს თენგიზ ჩიკვილაძემ ცაცია შეაგება, ბორჯომელთა მეკარე კონსტანტინე სეფიაშვილი მეორე კუთხეში იდგა, ბურთმა კი გიორგი გუგავას ფეხებს შუა გაიარა და მართალია, სტუმართა ნახევარმცველი ცდილობდა ბურთის კარიდან გამოტანას, მაგრამ გვიანლა იყო — ბურთს ხაზი გადაკვეთილი ჰქონდა — ეს მე-13 წუთზე მოხდა, მანამდე კი გიორგი ჩიხრაძის გუნდს ორი შანსი გაუცუდდა: გრიგოლ დოლიძის ფლანგიდან შესრიალებულს, ეგებ, გოლი მოჰყოლოდა, მაგრამ გვერდითმა მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა, მერე კი შალამბერიძის ჩაწოდებულს რევაზ გოცირიძე ოდნავ ვერ მისწვდა.

...წვიმის მიუხედავად, კარგი თამაში გამოვიდა, მომენტებით მდიდარი და დაძაბული. სტუმრებს ტრავმის გამო გიორგი მეგრელაძე და შოთა გრიგალაშვილი აკლდათ, „ამერი" კი სალ-სალამათი შემადგენლობით გახლდათ და როგორც მასპინძელს და წყვილის ფავორიტს შეეფერება, უპირატესობას დაეუფლა. მაგრამ „ბორჯომი" არ იყო ისეთი ჯაბანი, როგორც წლეულს ჩემპიონატის მატჩებში ვნახეთ — დერინგი, ირაკლი ჩირიკაშვილი და ვალერი ბოლქვაძე სისწრაფის ხარჯზე რამდენჯერმე გასცდნენ „ამერის" დაცვას და მარტო პირველ ტაიმში რამდენიმე მომენტი შექმნეს: ჩირიკაშვილმა სულაც სამჯერ დაარტყა სახიფათო ჯარიმა და ერთხელ თუ კარს ააცილა, ორჯერ ლადო ნადირაშვილს გააჭიმინა ნახტომი. დერინგსაც ნადირაშვილმა არ გაატანინა, როცა კამერუნელი მახვილი კუთხიდან მოულოდნელად ურტყამდა. აშკარად ჩანდა: „ყვითლების" დაცვას უჭირდა სწრაფი ბორჯომელი შემტევების მოთოკვა.

თუმცა „ამერი" შედარებით კლასიანად თამაშობდა, დოლიძეს მარჯვენა ფლანგზე წაუვიდა თამაში და აკი მშვენიერი შანსიც უბოძა გოცირიძეს, რომელმაც ათიოდ მეტრიდან კარს გადააცილა. ტაიმის მიწურულს მომხდარმა ინციდენტმა კი „ბორჯომი" რალაცნაირად გააბრაზა, თითო გოჯისთვის სასიცოცხლოდ იბრძოდნენ და აკი, მასპინძელთა საჯარიმოს მისადგომებთან გუბემ მშვენიერი შანსიც მისცათ: ბურთი გაჩერდა, ბოლქვაძემ ისარგებლა და პირისპირ დარჩა ნადირაშვილთან, თავზეც გადაუგდო ბურთი, მაგრამ ვერ მოზომა — ოდნავ გადააცილა კარს. არადა, „ამერს" ამ წუთებში სხვანაირად თამაში მართებდა, „ბორჯომი" დერინგის ინციდენტით გაცეცხლებული იყო, ნერვიულობდნენ და ამის გამოყენება მალევე შეიძლებოდა.

შესვენების შემდეგ სტუმრებს ერთხანს არ ეტყობოდათ სიბრაზე, ისე აგრესიულად ვეღარ თამაშობდნენ, „ამერმა" კი შეცდომებს უკლო და ოცწუთიან მონაკვეთში სასურველი ფორა შეიქმნა. 52-ე წუთზე დოლიძის ჩაწოდებულს გოცირიძემ შეაგება თავური და 2:0 გახადა, 72-ეზე კი „ბორჯომის" ყოფილმა კაპიტანმა გიორგი მემარნიშვილმა გაიტანა — მარჯვნიდან აწვლიდა, მაგრამ სეფიაშვილს ხელებიდან საკუთარ კარში აეჭრა ბურთი და 3:0.

მემარნიშვილი, ისევე, როგორც გიორგი ელბაქიძე, შეცვლაზე შეიყვანა ჩიხრაძემ და ორივემ გაუმართლა. მსაჯის დამატებულ წუთებზე ელბაქიძემ 25 მეტრიდან ისეთი დააქუხა ცხრიანში, თქვენი მოწონებული... და მივულოცოთ „ამერისა" და საქართველოს ახალგაზრდულთა ნაკრების მარცხენა მცველს — ეს მისი პირველი გოლი იყო კარიერაში.

იცოცხლეთ, კარგია ოთხი გოლი, მაგრამ ელბაქიძის გატანამდე „ბორჯომმა" საპასუხოდ მატჩისთვის იმედის ნაპერწკალისა შეაგდო: „ამერის" დაცვა აიბნა, ჩირიკაშვილმა გიორგი დავითნიძეს გაასწრო და ჩიკვილაძესაც ასწრებდა, რითაც მეკარესთან პირისპირ გადიოდა, თუმცა დაქაჩეს და ჯარიმა დაუნიშნა, პლუს ჩიკვილაძეს მეორე ყვითელი უჩვენა მსაჯმა და გააძევა.

ბორჯომელთაგან საუკეთესო ჩირიკაშვილმა ცოცხალ კედელს შემოატარა ბურთი და ხარიხას გაარტყა, იქიდან გადმოვარდნილს კი „ამერის" ვერც ერთი მცველი ვერ მისწვდა და გივი ჩხეტიანმა საგოლედ დაამატა — „ბორჯომი" გოლს გამორჩა სტუმრად, ესე იგი, ფინალში გასვლის შანსი შერჩა... შედარებით მეტი შანსი ექნებოდა, ელბაქიძის ზღაპრული დარტყმული რომ არა. აშკარად ჩანდა, მეორე ნახევარში თორელები მასპინძელთა დაცვის შეცდომებზე იყვნენ ჩასაფრებულნი, საცქერი თამაში გამოვიდა — მაყურებელი რომ არ მოიწყენდა, ისეთი...

### პრესკონფერენცია

***ვლადიმერ ხაჩიძე:*** თამაში პირველი ტაიმის ბოლოს გაფუჭდა. ორმაგი სტანდარტები არ უნდა იყოს — მართალია, ჯუსმა შეიგინა, მაგრამ მანამდე რასისტულ გამოხტომას ჰქონდა ადგილი და რატომღაც ამაზე არავინ რეაგირებს. რასიზმს მთელ მსოფლიოში ებრძვიან. ამ ეპიზოდიდან დაულაგებელი თამაში წავიდა...

...ძნელია, მაგრამ მაინც ვეცდებით ფინალში გასვლას, სოსო გრიშიკაშვილს ტრავმა აქვს და ამიტომ ვერ ვათამაშე, გიორგი ფეიქრიშვილი კი „ვიტ ჯორჯიასთან" მატჩის შემდეგ „ბორჯომის" ფეხბურთელი აღარ არის.

***გიორგი ჩიხრაძე:*** მძიმე თამაში იყო. სათასო მატჩების სპეციფიკა განსხვავებულია, აქ ყველას აქვს შანსი. ჩვენთვის შეღავათი არ ყოფილა, რომ „ბორჯომს" საკადრო პრობლემები ჰქონდა, რადგან მეტოქის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა დიდი ბრძოლა გაგვიმართეს...

...რაც შეეხება ინციდენტს, ყველამ გაიგონა ჯუსის გამონათქვამი და მსაჯმაც წესები დაიცვა. ამასთან, ვიდეოფირზე ვნახავ ჩიკვილაძის გაძევების მომენტს — ეჭვი მაქვს, რომ მსაჯი შეცდა...

...შარშან ასევე თასის ნახევარფინალში შინ „სიონს" 3:0 მოვუგეთ, მაგრამ იქ კინაღამ გავვარდით, ასეთი შემთხვევა ჭკუის სასწავლებელია, ამიტომ, ჯერ არ ვთვლით, რომ ფინალში ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა





# რა ხდება დინამოს თავს?!

რაღაცნაირად, წესად იქცა — თბილისის „დინამოს“ ლამის ყოველი მატჩის შემდეგ გაქაჩვა-გამოქაჩვა ხდება.

ასე, მაგალითად, „დინამო“ — „ზესტაფონის“ გუშინწინდელი სათასო მატჩის შემდეგ დინამოელთა სამწვრთნელო შტაბის წევრი გია ჯიშკარიანი ზესტაფონელთა ნახევარმცველ როინ ონიანს „ეახლა“ საქმის გასარჩევად. ჩვენ არ გვაინტერესებს, ვინ არის დამნაშავე და ვინ მართალი... არც ის გვაინტერესებს, რამ გამოიწვია ესა თუ ის კონფლიქტი... ჩვენ გვაინტერესებს ერთი რამ: რატომ შეეყარა „დინამოს“ ეს მავნე სენი?

*ბადრი ქეთილაძის ფოტოები*





# ჯოვანი ტრაპატონის ორმოცი სამყურა

**მსოფლიოს** ჩემპიონატის 2010 წლის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქის, ირლანდიის ახალდანიშნული თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი უკვე შეუდგა საქმეს.

ირლანდიელები მაისის ბოლოს პორტუგალიაში შეკრებას გეგმავენ და ტრაპატონიმ ამ მოსამზადებელი ეტაპისთვის უკვე შეადგინა გაფართოებული სია, რომელშიც 40 ფეხბურთელი მოხვდა. პორტუგალიური შეკრების შემდეგ ნაკრებში 28 ფეხბურთელი დარჩება, რომლებიც სერბეთისა და კოლუმბიის ნაკრებებთან ითამაშებენ.

სადღეისო სია ასეთია:

***მეკარეები:*** *შეი გივენი (ნიუკასლი, ინგლისი), უეინ ჰენდერსონი (პრესტონი, ინგლისი), პადი კენნი (შეფილდ იუნაიტედი, ინგლისი), დარენ რენდოლფი (ჩარლტონი, ინგლისი), კოლინ დოილი (ბირმინგემი, ინგლისი), ჯო მერფი (სკანთორპი, ინგლისი);*

***მცველები:*** *სტივენ კელი (ბირმინგემი, ინგლისი), რიჩარდ დანი (სიტი, ინგლისი), კევინ კილბეინი (უიგანი, ინგლისი), ჯონ ოში (მანჩესტერი, ინგლისი), ჯო ობრაიენი (ბოლტონი, ინგლისი), პოლ მაკშეინი (სანდერლენდი, ინგლისი), კევინ ფოლი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), დარენ ოდი (სელტიკი, შოტლანდია);*

***ნახევარმცველები:*** *სტივენ რიდი (ბლექბერნი, ინგლისი), ლაიამ მილერი (სანდერლენდი, ინგლისი), სტივენ აირლენდი (სიტი, ინგლისი), დამიენ დაფი (ნიუკასლი, ინგლისი), აიდენ მაკგიდი (სელტიკი, შოტლანდია), ენდი რიდი (სანდერლენდი, ინგლისი), ლი კარსლი (ევერტონი, ინგლისი), დარონ გიბსონი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), სტივენ ჰანტი (რედინგი, ინგლისი), დარენ პოტერი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ოუენ ჰარვანი (იფსვიჩი, ინგლისი), ვეს ჰულეჰენი (ბლექპული, ინგლისი), სტივენ მაკფეილი (კარდიფი, უელსი), მარტინ როულენდსი (ქუინზ პარკი), გლენ ვილენი (სტოკი, ინგლისი);*

***თავდამსხმელები:*** *სტივენ ელიოტი (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), რობი კინი (ტოტენჰემი, ინგლისი), კევინ დოილი (რედინგი, ინგლისი), კლინტონ მორისონი (კრისტალ პალასი, ინგლისი), შეინ ლონგი (რედინგი, ინგლისი), ენდი კიიუ (ვულვერჰემპტონი, ინგლისი), ენტონი სტოკსი (სანდერლენდი, ინგლისი), დერილ მერფი (სანდერლენდი, ინგლისი), შონ სკანელი (კრისტალ პალასი, ინგლისი), როი ოდონოვანი (სანდერლენდი, ინგლისი), დევიდ კონოლი (სანდერლენდი, ინგლისი).*

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



Coca-Cola
FIFA WORLD RANKING

# ქართული ფეხბურთი ჩინურ ფეხბურთთან



ჩრდილოეთ ირლანდიასთან მარცხმა საქართველო რეიტინგში დააქვეითა

**ჩრდილოეთ** ირლანდიასთან წაგებულმა (1:4) მატჩმა საქართველოს ნაკრების სარეიტინგო ადგილი 18 ქულით და 5 ადგილით გააუარესა.

ჯერჯერობით უთავკაცო ნაკრები 81-ე ადგილამდე დაქვეითდა და ომან-ჩინეთის ნაკრებებს შორისაა მოქცეული.

საქართველოს ნაკრები რომ მართლაც ძლიერ ჯგუფშია მოხვედრილი, ამაზე ბოლო რეიტინგიც მეტყველებს — იტალიის ნაკრებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩვენთვის უკვე შემაშფოთებელი უნდა იყოს კვიპროსისა და ჩერნოგორიის ნაკრებთა პროგრესი: კუნძულელები 5 პოზიციით დაწინაურდნენ და 58-ე ადგილზე არიან, ხოლო ახლადშობილი ჩერნოგორია ნორვეგიელთა დამარცხებით 22 ადგილით დაწინაურდა, მართალია, მათ 153-ე ადგილი უჭირავს, მაგრამ როგორც გითხარით, მის ქულებს ცოტა ხანია, ითვლიან.

ბულგარელები ერთი საფეხურით დაწინაურდნენ, ირლანდიელები კი 5-ით დაქვეითდნენ.

პირველ ათეულში მცირე ცვლილებაა — მეათეადგილოსანმა საბერძნეთმა მერვეზე აინაცვლა და პორტუგალია-ჰოლანდია თითო ადგილით ქვემოთ ჩაიჩოჩა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | 1 | არგენტინა | 1519 |
| 2 | 2 | ბრაზილია | 1509 |
| 3 | 3 | *იტალია* | 1391 |
| 4 | 4 | ესპანეთი | 1319 |
| 5 | 5 | გერმანია | 1261 |
| 6 | 6 | ჩეხეთი | 1234 |
| 7 | 7 | საფრანგეთი | 1205 |
| 8 | 10 | საბერძნეთი | 1187 |
| 9 | 8 | პორტუგალია | 1125 |
| 10 | 9 | ჰოლანდია | 1124 |
| 18 | 19 | *ბულგარეთი* | 953 |
| 42 | 37 | *ირლანდია* | 637 |
| 58 | 63 | *კვიპროსი* | 542 |
| 81 | 76 | საქართველო | 389 |
| 153 | 175 | *ჩერნოგორია* | 141 |

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ
სლოტ პოკერ კლუბი VEGA

## ჩემპიონთა ლიგა 2007–2008
## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

# ვენგერმა პენალტი ვერ ჩაყლაპა



**ლივერპული 4:2 არსენალი (1:1)**
0:1 დიაბი (13), 1:1 ჰიპია (30), 2:1 ტორესი (69), 2:2 ადებაიორი (84), 3:2 ჯერარდი (85პ), 4:2 ბაბელი (90)
**ლივერპული:** რეინა, კარაგერი, შკრტელი, ჰიპია, ფ. ორელიო, კუიტი (არბელოა 90), მასკერანო, ხაბი ალონსო, ჯერარდი, ფ. ტორესი (რიისე 87), კრაუჩი (ბაბელი 78)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
**არსენალი:** ალმუნია, კ. ტურე, გალასი, სენდეროსი, კლიში, ებუე (უოლკოტი 72), ფაბრეგასი, ფლამინი (ჟილბერტო სილვა 42), დიაბი (ვან პერსი 72), გლები, ადებაიორი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
გაფრთხილება: სენდეროსი, ტურე
მსაჯი: პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)
41 985 მაყურებელი

**არსენ ვენგერმა** „არსენალის“ კარში დანიშნულ 11-მეტრიან საჯარიმო დარტყმას მოგონილი უწოდა და შვედ მსაჯს პეტერ ფროიდფელდტს გაუწყრა.

პირველ მატჩში, ლონდონში, ალექსანდრ გლების წაქცევისთვის „მეთოფეებს“ აშკარა პენალტი არ მისცეს და ეს ყველაფერი ფრანგმა მწვრთნელმა ხელზე დაიხვია.

ოთხშაბათს, „ენფილდზე“ კოლო ტურემ რაიან ბაბელი ხელ-ფეხით შეუჩერებლად წააქცია, რადაც[illegible] [illegible] რამით [illegible] ფრანგის წონასწორობა დაეკარგვინებინა. ბაბელიც გაიშხლართა და ფროიდფელდტმა თერთმეტმეტრიანის ნიშნულისკენ მიუთითა. ეს იყო მატჩის გადამწყვეტი მომენტი, რადგან წუთის წინ „არსენალმა“ გაათანაბრა (2:2) და ამ ფრით ნახევარფინალში გადიოდა.

„მეგონა, რომ 2:2-ზე თამაში დასრულდა და ნახევარფინალში ვიყავით, მაგრამ მსაჯმა პენალტი მოიგონა. მომენტი განმეორებით რამდენჯერმე ვნახე და ტურესგან წესის დარღვევა არ ყოფილა. ვფიქრობ, უსამართლობის მსხვერპლნი გავხდით, რაც უფრო ამძიმებს ჩვენს გულისტკივილს. შენზე უკეთეს გუნდთან რომ წააგებ, საპრეტენზიოც არაფერი უნდა გქონდეს, მაგრამ „ლივერპულთან“ ორი მატჩის შემდეგ არ დამრჩენია შთაბეჭდილება, რომ ისინი უკეთესები იყვნენ. პირველ შეხვედრაში გლების წაქცევისთვის ნაღდი პენალტი არ მოგვცეს, ახლა კი სულ ტყუილად დანიშნეს. ამის ჩაყლაპვა ძალიან ძნელია. პენალტის შემთხვევაში ორჯერვე ჩვენ დაგვჩაგრეს. ჩემს ფეხბურთელებს მიაჩნიათ, რომ მსაჯმა „ლივერპულს“ მიემხრნენ და ამას გუნდზე დამორგუნებულად იმოქმედა“.

მოკლედ, პენალტი იყო თუ არ იყო, „ლივერპულმა“ ბოლო ოთხ წელში ნახევარფინალს მესამედ უწია და ისევ „ჩელსის“ დაეჯახება, რომელსაც ორჯერ უკვე აჯობა.

„საოცარია, რომ კვლავ „ჩელსისთან“ ბრძოლა მოგვიწევს და რა თქმა უნდა, ისევ ორი უმძიმესი მატჩი გველის — თქვა რაფაელ ბენიტესმა — „არსენალთან“ კი, პირველ ტაიმში ცუდად ვითამაშეთ, თუმც ბიჭები გამარჯვებაში დარწმუნებულნი იყვნენ და შესვენების შემდეგ საუცხოოდ გაისარჯნენ. გავიგე, სტივენ ჯერარდს უთქვამს, პირადად მე თამაში არ გამომივიდაო, მაგრამ მისი კმაყოფილი ვარ. კაპიტანმა ხომ გადამწყვეტი პენალტი გაიტანა“.

კოლო ტურემ, რომელსაც რაიან ბაბელის წაქცევა დაბრალდა, განაცხადა: „მხოლოდ იმას ვცდილობდი, რომ ხელ-ფეხი ბაბელისგან შორს დამეჭირა და ფაბრეგასიც ჩამოშორდა მას საჯარიმოს გარეთ, მაგრამ ეს ფეხბურთია და თუ მსაჯმა პენალტი დანიშნა, რაღას იზამ?“

ხოლო პენალტის გამტანმა სტივენ ჯერარდმა საკუთარი თავი აძაგა: „ალბათ, კარიერაში ასე ცუდად არ მითამაშია. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, რომ თერთმეტი მეტრიდან გავიტანდი და დარტყმაც ამიტომ ვიკისრე. ძნელია იმის თქმა, თუ რომელმა გუნდმა ითამაშა უკეთესად, რადგან „არსენალმაც“ დიდებული ფეხბურთი აჩვენა, თუმც პლეიოფში ჩვენ უფრო ყოჩაღები ვართ“.

ემანუელ ადებაიორი: „ყველაზე დასანანი ისაა, რომ მატჩის განმავლობაში ორჯერ ვიყავით ერთი ფეხით ნახევარფინალში ვიყავით და ეს უპირატესობა ვერ შევინარჩუნეთ. რაც შეეხება პენალტის, ვერაფერს ვიტყვი. ლონდონში მსაჯმა ჩვენს სასარგებლოდ არ დანიშნა, აქ კი „ლივერპულს“ მისცა. ფეხბურთში ხან ასეა და ხან ისე. წაგება მალე უნდა დავივიწყოთ, რადგან კვირას „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერთან“ უმნიშვნელოვანესი მატჩი გველის. ჩვენ ხომ ჩემპიონობის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გრანტი: მწვრთნელი ვარ თუ ექიმი?


ლამპარდმა (მარჯვნივ) ქომაგებს ნერვები დაუწყნარა

**ჩელსი 2:0 ფენერბაჰჩე (1:2)**
1:0 ბალაკი (4), 2:0 ლამპარდი (87)
**ჩელსი:** კუდიჩინი (ილარიო 26), ესიენი, რ. კარვალიუ, ტერი, ე. კოული, მაკელელე, ბალაკი, ლამპარდი, ჯ. კოული (მალუდა 85), კალუ (ბელეტი 58), დროგბა
მწვრთნელი: ავრაამ გრანტი
**ფენერბაჰჩე:** ვოლკანი, გიოქჰანი, ლუგანო, ედუ, ვედერსონი (ბილგინი 89), მალდონადო (კემბანი 60), მეჰმეთი, კაზიმ-რიჩარდსი, ალექსი, დეივიდი, სემიჰი (უღური 75)
მწვრთნელი: ზიკო
გაფრთხილება: ესიენი, კარვალიუ
მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)
38 369 მაყურებელი

**„მეც** ისევე მშვიდად ვიყავი, როგორც ჩვენი გულშემატკივრები“ — იხუმრა ფრენკ ლამპარდმა მატჩის შემდეგ. „ჩელსი“ აშკარად ვერ იყო მშვიდად, განსაკუთრებით ბოლო ნახევარი საათის განმავლობაში, რადგან „ფენერბაჰჩემ“ მტერმისმაგვარი მოაწყო და „სტემფორდ ბრიჯზე“ შეკრებილმა მასპინძელთა ქომაგებმა გვარიანად ინერვიულეს. სწორედ ლამპარდმა დააწყნარა ისინი — 87-ე წუთზე მეორე გოლი გაიტანა.

„ვერ ვიტყვი, რომ ეს „ჩელსის“ საუკეთესო მატჩი — თქვა ნახევარმცველმა — სტამბოლში ბევრად უკეთესად ვითამაშეთ. აქ კი ბოლომდე ვიყავით რათა გოლი არ გაგვეშვა ასეთი შეხვედრები ყოველთვის რთულია, რადგან მეოთხედფინალში იოლი მეტოქე არ არსებობს. როცა სტუმრად 1:2 გაქვს წაგებული, საპასუხოში სწრაფი გოლი გჭირდება. ეს მოვახერხეთ, მერე კი გაგვიჭირდა, მაგრამ მთავარია, რომ დაცვაში შეუცდომლად ვითამაშეთ“.

26-ე წუთზე მეკარე კარლო კუდიჩინი დაშავდა და რაკი პეტრ ჩეხიც ტრავმირებულია, კარში ნენე ილარიო ჩადგა. პორტუგალიელმა ბოლო ათ წუთში ორი დარტყმა მოიგერია და ლამპარდის ქება დაიმსახურა: „ილარიოს მადლობელი უნდა ვიყოთ. მან საქმე ფრიადზე შეასრულა და გადაგვარჩინა. ეს ნიშნავს, რომ გუნდში უმაღლესი კლასის სამი მეკარე გვყავს“.

ნახევარფინალში „ჩელსი“ და „ლივერპული“ ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ შეხვდებიან ერთმანეთს. ორჯერ პირველი მატჩი „სტემფორდ ბრიჯზე“ გაიმართა და საბოლოოდ „ლივერპული“ იგებდა, ახლა კი „ჩელსი“ ჯერ „ენფილდს“ ეწვევა და მერე მეტოქეს უმასპინძლებს, რაც ძალიან აიმედებს ეშლი კოულს: „საპასუხო მატჩი „სტემფორდ ბრიჯზე“ იქნება და ეს მცირე, მაგრამ უპირატესობაა“.

თუ პეტრ ჩეხი და კარლო კუდიჩინი მალე ვერ გამოჯანმრთელდებიან, „ჩელსი“ „ლივერპულთან“ ნახევარფინალურ მატჩებში ნენე ილარიოს იმედზე დარჩება.

„ილარიო მესამე მეკარეა, მაგრამ დიდებულად გაისარჯა — თქვა ავრაამ გრანტმა — ამ სეზონში ტრავმირებულებზე იმდენჯერ მომიხდა საუბარი, რომ თავი მწვრთნელი კი არა, ექიმი მგონია. ჯერჯერობით ზუსტად არ ვიცი, მაგრამ კარლო კუდიჩინისაც, ისევე როგორც პეტრ ჩეხს, ტრავმის მოსაშუშებლად ალბათ ორი-სამი კვირა დასჭირდება ილარიოს გარდა 18 წლის რის ტეილორიც გვყავს“.

თამაშზე კი „ჩელსის“ მწვრთნელმა განაცხადა: „ამოცანა შევასრულეთ და ნახევარფინალში გავედით, რაც კმაყოფილების საბაბს გვაძლევს. ამ მატჩის მოგება იოლი არ იყო და მგონია, რომ სტამბოლში უკეთესად ვითამაშეთ. ამჯერად კარგად დავიწყეთ, მერე კი გუნდს ნერვიულობა დაეტყო, თუმც მცველებმა საქმეს თავი გაართვეს და მეტოქეს ბევრი მომენტის შექმნის საშუალება არ მისცეს. მთავარია, რომ სასურველ შედეგს მივაღწიეთ, თუმც მიკაელ ესიენის ყვითელი ბარათი დასანანია. ამის გამო იგი „ლივერპულთან“ პირველ შეხვედრას გამოტოვებს“.

ზიკო: „რა თქმა უნდა, უკმაყოფილო ვარ, რადგან მიზანს ვერ მივაღწიეთ. გოლი ძალიან მალე გავუშვით და არაერთი მცდელობის მიუხედავად, ვერ გავათანაბრეთ. მხოლოდ მეოთხედფინალში გასვლა ჩვენთვის დიდად სასიხარულო არაა, უფრო მეტი გვსურდა და ამიტომ ძალიან ნაწყენები ვართ“.

**ვაჟა ხუციშვილი**

**ნახევარფინალი**
**ლივერპული — ჩელსი**
**პირველი მატჩი გაიმართება 23 აპრილს, საპასუხო — 30 აპრილს**

# უეფას თასი 2007-2008. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები. დღეს

# ტორესის რეისი: ბაიერნის გავლით ფინალში

**ზენიტი (რუსეთი) — ლევერკუზენი (გერმანია) (4:1)**
**ხეტაფე (ესპანეთი) — ბაიერნი (გერმანია) (1:1)**
**პსვ (ჰოლანდია) — ფიორენტინა (იტალია) (1:1)**
**სპორტინგი (პორტუგალია) — რეინჯერსი (შოტლანდია) (0:0)**

**„ხეტაფეს"** პრეზიდენტი ანხელ ტორესი დარწმუნებულია, რომ „ბაიერნის" დამარცხების შემთხვევაში მისი გუნდი ნახევარფინალშიც იმარჯვებს და ფინალში გავა.

ერთი კვირის წინ, მიუნხენში ხეტაფელმა კოზმინ კონტრამ ბოლო წუთზე გაათანაბრა და ესპანურ კლუბს დღეს უგოლო ფრეც ეყოფა „ბაიერნის" გასავლელად.

„სტადიონზე ფანტასტიკური ატმოსფერო იქნება — თქვა ტორესმა — ტრიბუნები გაივსება და ქომაგები ზეიმს მოაწყობენ თუ „ბაიერნს" ვაჯობებთ. ფინალშიც გავალთ. მცირე უპირატესობა გვაქვს, რადგან სტუმრად 1:1 ვითამაშეთ და ფანებიც განსაკუთრებულად დაგვიჭერენ მხარს. მაგრამ ზედმეტი თავდაჯერებულობა და მეტოქის შეუფასებლობა არ [illegible]"

„ბაიერნი" კი მიუნხენურ მატჩში სწორედ მოწინააღმდეგის სათანადოდ შეუფასებლობის გამო დაისაჯა — [illegible]

[illegible] ფინალის წილიყრის შემდეგლა გაუგია, რომ „ხეტაფეს" მიქაელ ლაუდრუპი წვრთნის.

ლაუდრუპის გუნდი გასულ კვირას სტუმრად „ბარსელონას" უგოლოდ დაუზავდა, მაგრამ ამ მატჩში ორი ფეხბურთელი დაუშავდა. ნახევარმცველი პაბლო ერნანდესი და მცველი მარიო პირველივე ტაიმში შეცვალეს. ერთს წვივი ეტკინა, მეორეს — ბარძაყის კუნთი. მათი თამაში დღევანდელ მატჩში საეჭვოა. დისკვალიფიკაციის გამო „ხეტაფეს" ესტებან გარნესო ვერ დაეხმარება, სამაგიეროდ, ლუკას ლიხტმა სასჯელი მოიხადა და კაპიტანი დავიდ ბელენგერიც გამოკეთდა.

„ბაიერნი" ფავორიტია, მაგრამ ვეცდებით, ივე ვითამაშოთ, როგორც მიუნხენური მატჩის მეორე ტაიმში — განაცხადა კოზმინ კონტრამ, რომელმაც წინა კვირაში კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა.

„ბაიერნმა" კი ბუნდესლიგაში შინ „ბოხუმს" 3:1 მოუგო. მასპინძლები მეოთხე წუთიდან აგებდნენ, მაგრამ ლუსიომ, რობერიმ (პენალტით) და ლელმა სამით უპასუხეს.

აღსანიშნავია, რომ „ბაიერნმა" სტუმრად ესპანურ კლუბებთან 15 მატჩიდან ოთხი მოიგო, სამი ფრედ დაასრულა და რვაჯერ დამარცხდა.

ლისაბონის „სპორტინგმა" ხუთჯერ უმასპინძლა შოტლანდიურ კლუბებს. ხუთჯერვე მოუგო და დღეს მეექვსე გამარჯვებას „რეინჯერსთან" შეეცდება.

გლაზგოელებმა კვირას „დანდი იუნაიტედთან" სტუმრად 3:3 ითამაშეს. მატჩის განმავლობაში სამჯერ აგებდნენ, [illegible] იდმა მეტოქეს ქულა გამოგლიჯეს.

„ჩაფრებს" „სპორტინგთან" დისკვალიფიცირებული დევიდ ვეირი დააკლდებათ, მეგოლე დანიელ კუზენი კი გამოკეთდა და ლისაბონში გუნდს გაჰყვა. კუზენს „ვერდერთან" შეხვედრაში ყბა გაუტყდა მერტეზაკერთან შეჯახების შედეგად და ხუთი კვირა გაუცდა. ესპანელი მცველი კარლოს კუელიარი „დანდისთან" მსუბუქად დაშავდა, თუმც სადღეისოდ მზად იქნება.

პორტუგალიაში „რეინჯერსმა" ხუთი მატჩიდან ერთი მოიგო, ერთი ფრე გაახერხა და სამჯერ წააგო.

„სპორტინგმა" ჩემპიონატში „ბრაგას" 2:0 სძლია და ორივე დიალომ გაიტანა. გუნდი მეოთხე ადგილზეა და ჩემპიონობის შანსი აღარ აქვს, რადგან „პორტუმ" პირველობა უკვე გაინაღდა. ამიტომაც ამბობს სპორტინგელი მცველი ტონელი, რომ მათი მიზანი უეფას თასის მოგებაა. „მართალია, ჯერ „რეინჯერსი" არ დაგვიმარცხებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თასის ფინალში გასვლას შევძლებთ. კარგი იქნებოდა, გლაზგოში გოლი გაგვეტანა, თუმც ამას შინ, გულშემატკივრების მხარდაჭერით მოვახერხებთ" — თქვა ტონელიმ.

„სპორტინგის" ცენტრალური მცველი ანდერსონ პოლგა „ბრაგასთან" დაშავდა და მის ნაცვლად „რეინჯერსთან" 23 წლის გლედსტოუნი ითამაშებს, რომელიც შარშან „კრუზეიროდან" ითხოვეს.

„ფიორენტინამ" უეფას თასის პირველ წრეში „გრონინგენი" პენალტების დამარცხა მას შემდეგ, რაც ორივე მატჩი 1:1 დასრულდა. „იების" მეორე ჰოლანდიელი მეტოქე პსვ-ა, [illegible] ფლორენციაში 1:1 ითამაშა [illegible] თუ იგივე ანგარიში განმეორდა, [illegible] პენალტების [illegible]

„ფიორენტინას" ევროთასებზე 49 მატჩი აქვს მოგებული და დღეს შეეცდება, დაამრგვალოს.

პსვ-მ ჩემპიონატში „ჰერაკლესი" 2:0 დაამარცხა, გოლები კი სიმონსმა და ფარფანმა შეაგდეს.

„იებმაც", სერია A-ში ასევე 2:0 სძლიეს „რეჯინას" პაცინისა და მუტუს გოლებით.

ეინდჰოვენელებმა იტალიურ კლუბებს რვაჯერ უმასპინძლეს, ექვსი მოიგეს და ორჯერ წააგეს, „ფიორენტინასთვის" კი ეს იქნება ჰოლანდიაში მეორე სტუმრობა.

**გაჟა ხუციშვილი**



კოზმინ კონტრას გოლმა „ხეტაფე" ფავორიტად აქცია



# რონალდუს გამომძალველები

**საქმე ასეა:** მადრიდის „რეალი" ყველა ღონეს იხმარს, რათა უეფას არსებული კანონმდებლობით ისარგებლოს და 2010 წელს „მანჩესტერ იუნაიტედს" კრიშტიანუ რონალდუ წაართვას — თან, იმ ფასად, რაც პორტუგალიელ ვარსკვლავს ინგლისის ჩემპიონისგან შემდეგ ორ წელიწადში ეკუთვნის. ეს თანხა დაახლოებით 10 მილიონი გირვანქაა.

მაშ, რა გამოდის? [illegible] ბის პატრონებმა კრისისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმება უნდა იჩქარონ. ახალი ხელშეკრულება, სავარაუდოდ, 2014 წლემდე იქნება და ფეხბურთელს კვირაში 140 ათასს მოუტანს.

მაგრამ, რატომ მხოლოდ მადრიდის „რეალი"? „სამეფო გუნდი" ესპანური პრესის მიხედვითაა სიაში პირველი, თორემ აბა, იტალიურ მედიას დაუგდეთ ყური. იტაიელები ამტკიცებენ, რომ რონალდუს „მილანი" შეიძენს, არადა, ნუ დაგავიწყდებათ, რომ საუბარია „იუნაიტედის" ყველაზე დიდ საგანძურზე.

ის, რომ რონალდუს ყიდვა მიზნად აქვთ დასახული, თვით „რეალის" გერმანელმა თავკაცმა ბერნდ შუსტერმაც აღნიშნა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ შუსტერმა ისიც დასძინა, ამწუთას მანჩესტერელები მაგ ბიჭის გამყიდველები არ არიანო.

„უახლოეს ხანს მე რონალდუს ყიდვის საშუალებას ვერ ვხედავ, — განაცხადა შუსტერმა — მაგრამ ორი წლის შემდეგ, ვფიქრობ, ამ ბიჭს „სანტიაგო ბერნაბეუზე" თეთრი მაისურით დაგანახებთ".

ასეთ განცხადებებზე ალექს ფერგიუსონის პასუხი შემდეგი გახლდათ:

„შემოტევებისთვის მზად ვართ, ფეხბურთელის გამოძალვა კი მათთვის ჩვეული საქციელია. უეფა ამ საქმეში არ ერევა, რადგან რომც ჩაერიოს, ვერაფერს გამოხდება. რაც შეეხება რონალდუს, მას მანჩესტერში ცხოვრება მოსწონს. მანჩესტერი მისი ქალაქია".

**ბაჩუნა ბედია**

## ლიბერტადორესის თასი 2008

### III ჯგუფი. V ტური

**ატლასი 3:1 ბოკა ხუნიორსი**

1:0 ზუნიგა (20), 1:1 ბატალია (30), 2:1, 3:1 ბ. მარიონი (54, 76)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლასი (მექსიკა) | 5 | 3 | 1 | 1 | 10:5 | 10 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 5 | 2 | 1 | 2 | 9:9 | 7 |
| კოლო კოლო (ჩილე) | 4 | 2 | 0 | 2 | 8:8 | 6 |
| მარაკაიბო (ვენესუელა) | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |

### VI ჯგუფი. V ტური

**სან ხოსე 2:4 კუკუტა დეპორტივო**

0:1, 0:2 ურბანო (36, 39), 1:2 ჩერუტი (45), 1:3 მ. ტორესი (55), 2:3 პარადა (78), 2:4 ურბანო (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კუკუტა დეპორტივო (კოლუმბია) | 5 | 3 | 2 | 0 | 6:2 | 11 |
| სანტოსი (ბრაზილია) | 4 | 2 | 1 | 1 | 9:2 | 7 |
| სან ხოსე (ბოლივია) | 5 | 1 | 1 | 3 | 4:14 | 4 |
| გვადალახარა (მექსიკა) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:3 | 3 |

### VIII ჯგუფი. V ტური

**ლიბერტადი 3:1 ლიგა დე კიტო**

1:0 დ. ლოპესი (10), 2:0 ხ. ოლივერა (14), 2:1 კანსინო (63), 3:1 კუევასი (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფლუმინენსე (ბრაზილია) | 4 | 3 | 1 | 0 | 10:1 | 10 |
| ლიგა დე კიტო (ეკვადორი) | 5 | 3 | 1 | 1 | 10:4 | 10 |
| ლიბერტადი (პარაგვაი) | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| არსენალი (არგენტინა) | 4 | 1 | 0 | 3 | 2:13 | 3 |

# დანაშაულებრივი კავშირი კავშირთან



თეო ცვანციგერი

**გერმანულ** ფეხბურთში ახალი გამოძიება წამოიწყეს და თან ისეთი, რომ გასულ კვირაში, ქვეყნის თასის ფინალისა და ნაკრების ორი სამაისო შეხვედრის გადადებასაც კი ფიქრობდნენ. არადა, ამ ორი თამაშის გადადება როგორია, ეს ხომ ბუნდესნაკრების ბოლო გავარჯიშებაა ევროპის ჩემპიონატის წინ.

ის, რომ შეხვედრები ჩატარდება, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტის თეო ცვანციგერის დამსახურებაა. ეს მან დაარწმუნა ანტიტრასტის სააგენტოს თანამშრომლები, მისი პირადი ფულის თავდებში ჩადების გარეშე დაერთოთ თამაშების გამართვის ნება.

„ჩვენ ანტიტრასტის ხალხს დიდი ხანი და დაბეჯითებით ვესაუბრეთ. იმედი გვაქვს, რომ ისინი გაიგებენ ჩვენს პოზიციას, რაც მხოლოდ და მხოლოდ სპორტის სპეციფიკით არის განპირობებული" — განუცხადა გაზეთ „ბილდს" კავშირის პრესატაშემ ჰარალდ სტენგერმა. აღსანიშნავია, რომ სააგენტომ პირადი ფულის დაპატიმრებით დაბმა ბუნდესლიგის პრეზიდენტს რაინჰარდ რაუბალსაც დაუპირა.

და რას იძიებენ ანტიტრასტელები?

მათ ეჭვი აქვთ, რომ საფეხბურთო კავშირმა და ბუნდესლიგამ პირი შეკრეს და სპონსორები ყალბი ტენდერით მიიყვანეს.

რაც შეეხება ხსენებულ თამაშებს: თასის ფინალში, რომელიც 19 აპრილს გაიმართება, „დორტმუნდი" „ბაიერნს" ხვდება და ამ თამაშზე 50 ათასი ბილეთი უკვე შეძენილია.

ხოლო ნაკრები 27 მაისს ბელარუსს ხვდება, 31-ში კი სერბეთს და იქიდან ევროპის პირველობაზე გაემგზავრება.

**პაპუნა ძიძია**

# რეკობას სამშობლო
## ურუგვაელს ტრავმამ ურუგვაი გაახსენა




**„ინტერიდან"** „ტორინოში" განათხოვრებული ურუგვაელი ალვარო რეკობა სეზონის ბოლოს სამშობლოში დაბრუნებას და კარიერის იქ დასრულებას არ გამორიცხავს.

მან ათი წელი გაატარა „ინტერში" და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბოლოს მოსწყინდა, შარშან „ტორინოში" გადავიდა, ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი გახდა, მაგრამ ტრავმებმა იქაც შეახსენეს თავი და თამაში არ აცალეს.

„ამჟამად მხოლოდ „ტორინოზე" და სეზონის დასრულებაზე ვფიქრობ. მერე კი ვნახოთ, რა მოხდება. იჯარის ვადა მალე ამოიწურება. იტალიაში დარჩენა მსურს, მაგრამ ეს ჩემს ჯანმრთელობაზე იქნება დამოკიდებული. თუ ჯანი ხელს არ შემიწყობს, ალბათ, სამშობლოში დავბრუნდები და კარიერას იქ დავასრულებ" — თქვა ურუგვაელმა.

მიუხედავად იმისა, რომ „ინტერში" რობერტო მანჩინი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში იშვიათად ათამაშებდა, რეკობა ყოფილ გუნდს მაინც ქომაგობს და ჩემპიონობას უსურვებს: „ჩემი აზრით, „ინტერი" კვლავაც უმთავრესი ფავორიტია, მიუხედავად იმისა, რომ რთული პერიოდი გაიარა. „ატალანტასთან" სტუმრად მძიმე მატჩი ჰქონდა, თუმც ბერგამოში მოგებით სკუდეტოსკენ წინ გადადგეს ნაბიჯი. „რომას" ისევ ოთხი ქულით უსწრებს და მილანურ დერბისაც თავდაჯერებული შეხვდება".

შეგახსენებთ, რომ ალვარო რეკობა „ინტერში" ურუგვაული „ნასიონალიდან" 1997 წელს გადავიდა და სერია A-ში 250-ზე მეტი მატჩი ითამაშა.

**სერგი ქორიძე**

# საფეხბურთო ლეგენდები

**გიორგი კაკაბაძე**




ლეგენდა №12

## დავარდნილი შარფის ისტორია

„ლივერპულის" „ენფილდ როუდის" სიახლოვეს დგას კლუბის ისტორიაში ალბათ ყველაზე პატივცემული და დიდი მწვრთნელის, ბილ შენკლის ქანდაკება, რომელიც ხელოვანმა ტომ მერფიმ შექმნა.

1973 წელს, შენკლის თაოსნობით „ლივერპულმა" პრემიერლიგა მოიგო. ამ ტრიუმფის მთავარი შემოქმედი და მისი შეგირდები ქუჩაში საზეიმო მარშით მიდიოდნენ, როცა მერსისაიდელთა ერთ-ერთმა ახალგაზრდა ფანმა საკლუბო შარფი მოიხსნა და შენკლისთან მისვლა სცადა, მაგრამ პოლიციელმა შეაჩერა, შარფი კი ძირს დავარდა, ხოლო იქვე მდგარმა შენკლიმ პოლიციელს უთხრა: „შენთვის ეს უბრალოდ შარფია, ბიჭისთვის კი მთელი ცხოვრება". შემდეგ, მან შარფი აიღო, ყელზე შემოიხვია და სვლა გააგრძელა.

ეს ისტორია ლივერპულის სულს ასახავს, თავად ამ ისტორიის ამსახველი კი ზემოთ ხსენებული ქანდაკებაა, რომელსაც ასეთი წარწერა აქვს: **Bill Shankley - He made the people happy** (ბილ შენკლი — მან ხალხი გააბედნიერა).

ლეგენდა №13

## როგორ დაერქვა ტურინის იუვენტუსს ბებერი ქალბატონი

1897 წელს ტურინის ლიცეუმ „დე აძელიოს" რამდენიმე, ფეხბურთზე შეყვარებულმა სტუდენტმა, დროის მოკვლისა და გართობის მიზნით თავიანთი გუნდის შექმნა გადაწყვიტა. ახალგაზრდებმა საწადელი იმავე წლის 1 ნოემბერს აისრულეს. ისინი დე უმბერტოს ქუჩაზე შიკრიბნენ და ოფიციალურად დააარსეს საფეხბურთო კლუბი ტურინის „იუვენტუსი".

გუნდის სახელი მისი დამაარსებლების ასაკიდან მომდინარეობს — ლათინურად „იუვენტუსი" ახალგაზრდობას ნიშნავს. საინტერესოა, რომ კლუბს აბსოლუტურად საპირისპირო მნიშვნელობის მქონე მეტსახელი სწორედ აქედან გამომდინარე აქვს.

საქმე ის არის, რომ გადმოცემის თანახმად, შემდგომში სტაბილურად მოთამაშე და მრავალი ტიტულის მომგებ „იუვენტუსს" რამდენიმე პიროვნებამ ხუმრობით უწოდა, არა ახალგაზრდა, არამედ უკვე დაბერებული და გამოცდილი გუნდი — „ლა ვეკია სინიორა" ანუ „ბებერი ქალბატონი" და...

ლეგენდა №14

## აბერდინელთა მძიმე დღე

1885 წლის 1 სექტემბერს შოტლანდიის თასის პირველი წრის მატჩში „არბროთმა" აბერდინის „ბონ-აკორდს" 36:0 მოუგო. ამაში დიდად გასაკვირი არც არაფერი გახლდათ, რადგან „ბონ-აკორდი" ფეხბურთელებით კი არა, კრიკეტის მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული. ისინი მინდორზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ტანსაცმლით გავიდნენ და მთელ გუნდში ერთი წყვილი ბუცებიც კი არ მოიძებნა. მათი მეკარე პირველად მოხვდა ასეთ „გაუგებრობაში", იგი მეორე ტაიმში დაშავდა და ნახევარმცველით შეცვალეს.

„არბროთის" გოლკიპერი კი მთელი მატჩის განმავლობაში მოწყენილი იყო, მის კარს ერთხელაც არ დამუქრებია საფრთხე. ხოლო თავდამსხმელმა ჯონ პეტრიმ 13 გოლი გაიტანა — საოცარი რეკორდია!

| 12312 | მონპელიე-ბასტია | 1.50 | 2.10 |
| 12313 | სედანი-ბრესტი | 1.60 | 2.00 |
| 12314 | ანჟე-შატორუ | 1.50 | 2.10 |
| 12315 | ნიორი-კლერმანი | 1.60 | 2.00 |
| 12316 | დიჟონი-გრენობლი | 1.60 | 2.00 |
| 12317 | ტრუა-გენიონი | 1.70 | 1.90 |
| 12318 | გენგამი-ლე ავრი | 1.60 | 2.00 |
| 12319 | ბულონი-ლიბურნი | 1.70 | 1.90 |
| 12320 | აიაჩო-ნანტი | 1.60 | 2.00 |
| 12321 | ამიენი-რეიმსი | 1.60 | 2.00 |
| 12465 | ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12466 | მალმიო-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12467 | აიკ-სუნდსვალი | 1.80 | 1.80 |
| 12468 | გაის-ჰამარბი | 1.70 | 1.90 |
| 12469 | იორებრო-კალმარი | 1.80 | 1.80 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.55 | 2.10 |
| 13092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.70 | 1.90 |
| 13093 | პსვ-ფიორენტინა | 1.90 | 1.70 |
| 13094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.90 | 1.70 |
| 13312 | მონპელიე-ბასტია | 1.90 | 1.70 |
| 13465 | ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი | 1.80 | 1.80 |
| 13466 | მალმიო-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13467 | აიკ-სუნდსვალი | 1.80 | 1.80 |
| 13468 | გაის-ჰამარბი | 1.70 | 1.90 |
| 13469 | იორებრო-კალმარი | 1.70 | 1.90 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.02 | 12.00 |
| 18092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.90 | 1.70 |
| 18093 | პსვ-ფიორენტინა | 1.50 | 2.40 |
| 18094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.70 | 2.20 |
| 14092 | ხეტაფე-ბაიერნი | 2.00 | 1.80 |
| 14093 | პსვ-ფიორენტინა | 1.75 | 2.10 |
| 14094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.65 | 2.30 |
| 14312 | მონპელიე-ბასტია | 1.75 | 2.10 |
| 14313 | სედანი-ბრესტი | 1.70 | 2.20 |
| 14314 | ანჟე-შატორუ | 1.70 | 2.20 |
| 14315 | ნიორი-კლერმანი | 1.85 | 1.95 |
| 14316 | დიჟონი-გრენობლი | 1.90 | 1.90 |
| 14318 | გენგამი-ლე ავრი | 1.90 | 1.90 |
| 14319 | ბულონი-ლიბურნი | 1.70 | 2.20 |
| 14320 | აიაჩო-ნანტი | 2.00 | 1.80 |
| 14321 | ამიენი-რეიმსი | 1.65 | 2.30 |
| 14465 | ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი | 2.40 | 1.45 |
| 14466 | მალმიო-ელფსბორგი | 1.75 | 2.10 |
| 14467 | აიკ-სუნდსვალი | 1.20 | 2.60 |
| 14468 | გაის-ჰამარბი | 2.00 | 1.80 |
| 14469 | იორებრო-კალმარი | 2.10 | 1.75 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15092 | ხეტაფე-ბაიერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15093 | პსვ-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15312 | მონპელიე-ბასტია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15313 | სედანი-ბრესტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | ანჟე-შატორუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15315 | ნიორი-კლერმანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15316 | დიჟონი-გრენობლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15318 | გენგამი-ლე ავრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15319 | ბულონი-ლიბურნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15320 | აიაჩო-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | ამიენი-რეიმსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15465 | ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15466 | მალმიო-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15467 | აიკ-სუნდსვალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15468 | გაის-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15469 | იორებრო-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.34 | 2.80 |
| 16092 | ხეტაფე-ბაიერნი | 2.20 | 1.52 |
| 16093 | პსვ-ფიორენტინა | 1.50 | 2.30 |
| 16094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.32 | 3.00 |
| 16312 | მონპელიე-ბასტია | 1.52 | 2.20 |
| 16313 | სედანი-ბრესტი | 1.38 | 2.65 |
| 16314 | ანჟე-შატორუ | 1.40 | 2.55 |
| 16315 | ნიორი-კლერმანი | 1.70 | 1.95 |
| 16316 | დიჟონი-გრენობლი | 1.80 | 1.85 |
| 16318 | გენგამი-ლე ავრი | 2.05 | 1.65 |
| 16319 | ბულონი-ლიბურნი | 1.40 | 2.55 |
| 16320 | აიაჩო-ნანტი | 2.30 | 1.48 |
| 16321 | ამიენი-რეიმსი | 1.32 | 3.00 |
| 16465 | ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი | 3.00 | 1.30 |
| 16466 | მალმიო-ელფსბორგი | 1.45 | 2.45 |
| 16467 | აიკ-სუნდსვალი | 1.11 | 5.70 |
| 16468 | გაის-ჰამარბი | 1.95 | 1.65 |
| 16469 | იორებრო-კალმარი | 2.30 | 1.50 |

### გოლი:წყვილი-1ცუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17091 | ზენიტი-ლევერკუზენი | 1.85 | 1.95 |
| 17092 | ხეტაფე-ბაიერნი | 1.85 | 1.95 |
| 17093 | პსვ-ფიორენტინა | 1.85 | 1.95 |
| 17094 | სპორტინგი-რეინჯერსი | 1.85 | 1.95 |
| 17312 | მონპელიე-ბასტია | 1.85 | 1.95 |
| 17313 | სედანი-ბრესტი | 1.85 | 1.95 |
| 17314 | ანჟე-შატორუ | 1.85 | 1.95 |
| 17315 | ნიორი-კლერმანი | 1.85 | 1.95 |
| 17316 | დიჟონი-გრენობლი | 1.85 | 1.95 |
| 17317 | ტრუა-გენიონი | 1.85 | 1.95 |
| 17318 | გენგამი-ლე ავრი | 1.85 | 1.95 |
| 17319 | ბულონი-ლიბურნი | 1.85 | 1.95 |
| 17320 | აიაჩო-ნანტი | 1.85 | 1.95 |
| 17321 | ამიენი-რეიმსი | 1.85 | 1.95 |
| 17465 | ლიუნგსკილე-ჰელსინგბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17466 | მალმიო-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17467 | აიკ-სუნდსვალი | 1.85 | 1.95 |
| 17468 | გაის-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17469 | იორებრო-კალმარი | 1.85 | 1.95 |



ფინეთში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა ორი მედალი მოიპოვა — ბადრი ხასაიამ (84 კგ) ვერცხლის, ხოლო რამაზ ნოზაძემ (96 კგ) ბრინჯაოსი. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც ხასაიამ ფინალში თურქ მსოფლიოს ჩემპიონ ნაზმი ავლუხასთან დაპირისპირება თითქმის ვერ შეძლო, ხალიჩაზე გასულმა რამდენიმე წამში მკლავის გაუსაძლისი ტკივილი იგრძნო და საკუთარი ინიციატივით ჭიდაობა შეწყვიტა. ტრავმა კი ნახევარფინალში გერმანელ იან ფამერთან ორთაბრძოლაში მიიღო.

სპორტი ასეთია, ტრავმა მისი შემადგენელი ნაწილია და ამ პრობლემას სპორტსმენი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე ალბათ ვერც ასცდება. თუმცა აქაც ორი მომენტია, არიან ადამიანები, რომელთაც მთელი კარიერა ისე ჩაუმთავრებიათ, ტრავმას ხელი არაფერში შეუშლია. და პირიქით, არის ხალხი, რომელთაც ტრავმების გამო საკუთარი ნიჭის სრულად წარმოჩენა ვერ მოუხერხებიათ. იქნებ ძალიან შორიდან მოვუარეთ, მაგრამ როდესაც ბადრი ხასაიაზე საუბრობ, სხვანაირად არც გამოდის. დაგვეთანხმებით, რომ არა გაუთავებელი ტრავმები, მისი პოტენციის პატრონს კიდევ უფრო მეტის გაკეთება შეეძლო...

გუშინ ბადრი ხასაია რედაქციაში გვესტუმრა და განვლილ ევროპის ჩემპიონატზე, ასევე მოახლოებულ ოლიმპიადაზე გვესაუბრა.

## ბადრი ხასაია:

# ათენის წილს პეკინში ჩავდებ

— თავიდან იმას ვიტყვი, რომ ევროპის ჩემპიონატის წინ დასკვნით შეკრებაზე სათანადოდ ვერ მოვემზადე. ამის მიზეზი გაციება იყო. გრიპის ვირუსი შემხვდა და ნორმალურად ვარჯიშის საშუალება არ მომცა. საკონტროლო შეხვედრებს ამის გამო ჯანზე ვერ შევხვდი, ამ ორთაბრძოლების მერე კი უფრო დავსუსტდი და ბოლომდე ძალების აღდგენა გამიჭირდა.

ჩემპიონატზე ისე მოხდა, რომ ძალზე [illegible] მოწინააღმდეგე ბადის მეორე ნახევარში მოახვედრა. თურქ და შვედ მოჭიდავეს ვგულისხმობ — ავლუხა, ვისაც ფინალში შევხვდი და აბრაჰამიანი. თავიდან შედარებით სუსტ მეტოქეებს კი ვეჭიდავე, მაგრამ ერთი მომენტია, ეს სპორტი ყველგან განვითარდა და იოლად ველარავის აჯობებ. ნებისმიერი მეტოქის დამარცხებისთვის მაქსიმუმი უნდა გაიღო. იმის გამო, რომ ფიზიკურად კარგად ვერ ვიყავი მომზადებული, გადავწყვიტე, ფონს კლასის ხარჯზე გავსულიყავი. დგომში ტემპს არ ვუმატებდი და ბოლო წამებზე აგრესიის ხარჯზე სასურველ შედეგს ვიღებდი. პარტერში კი უპირატესობა ჩემკენ იყო. მერე აღმოჩნდა, რომ ჩემმა ჩანაფიქრმა გაამართლა.

მეოთხედფინალში იტალიელი ანდრეა მიგუცი შედარებით რთულად დასაძლევი აღმოჩნდა. პერიოდი 4:0 მოვუგე, მეორეშიც 3:0 ვჩაგრავდი, მაგრამ მერე პარტერში იმან ხელის ჩავლება დააგვიანა და ადრე ჩავწექი. მსაჯმა გაფრთხილება მომცა, იტალიელმა გამითანაბრა კიდეც და პერიოდსაც მიგებდა, თუმცა წამის მეასედებში მოვახერხე მომგებიანი ქულის აღება.

ფინალში გადასასვლელ შეხვედრაში გერმანელს გადავეყარე ისე, კლასით და გამოცდილებით მას იტალიელი ჯობდა. თავიდან 4:0 ვუგებდი და პარტერში რომ ჩამაყენეს, ვიფიქრე, თითო-თითო ქულას დავუთმობ, არც დავიღლები ზედმეტად და თან სამი ქულა, რომ ამიღოს, მაინც ვიგებ-მეთქი. მაგრამ ალბათ ჩემი ხასიათის ბრალია, ერთი ქულა რომ ამიღო, ისევ გავჯიუტდი, დათმობა აღარ ვისურვე და სწორედ ამ დროს კუნთის გაწყვეტის ხმა მომესმა.

შესვენებაზე გაველი და ექიმმა ზურა კახაბრიშვილმა ჩუმად გამიყინა ხელი, გერმანელს რომ არ დაენახა. ბეგი დარჩიამაც სათანადო დარიგებები მომცა. მეორე პერიოდი 1:2 წავაგე, დგომში არაფერი გამომდიოდა. მივხვდი, გამარჯვებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მივაღწევდი, თუ ხასიათის სიმტკიცეს გამოვამჟღავნებდი. გერმანელიც გათამამდა, იფიქრა, ვჩაგრავო, ის კი არ იცოდა, კუნთგაწყვეტილი რომ ვჭიდაობდი. ყველამ იცის, რომ ჩოქბჯენიდან წამოდგომა რთულია, ჩემი შანსი კი ეს იყო და მიხარია, რომ შევძელი. პრინციპში მედალი მაშინ მოვიპოვე, წაგების შემთხვევაში ბრინჯაოსთვის ველარ ვიბრძოლებდი.

— ფინალში ჭიდაობა ტრავმირებულმა გადაწყვიტე. რატომ გარისკე და მწვრთნელებმა რა გითხრეს შეხვედრის წინ?

— მწვრთნელებმა მითხრეს, რომ თავად უნდა გადამეწყვიტა. რადგან ოლიმპიადა მოდის და გარისკვა არ ღირდა. ვიფიქრე — გავალ, ვიჭიდავებ და ამის მიხედვით. მოვიქცევი-თქო. თურქმა დაინახა ჩემი პრობლემა და მარჯვენა ხელზე მომაწვა. მივხვდი ველარ ვიჭიდავებდი და ბრძოლა შევწყვიტე. ტრავმა სერიოზული არ არის და 2-3 კვირაში დატვირთვებს დავიწყებ.

— ოლიმპიადა შორს აღარ არის, რა კომპონენტებია მთავარი იქ წარმატების მისაღწევად და ვის თვლი კონკურენტებად?

— ყველა ნიუანსი მნიშვნელოვანია — ფსიქოლოგიური, ფიზიკური, ტაქტიკური მზადყოფნა, ასევე კარგ ტურნირებზე გამოსვლა ოლიმპიადამდე. ამ მხრივ ბოლო დროს პრობლემა არ მქონდა. ასევე სპორტული იღბალი და ღვთის ნება...

კონკურენტები კი რამოდენიმე მყავს სერიოზული, რუსი ალექსეი მიშინი, შვედი აბრაჰამიანი, ეგვიპტელი, თურქი... ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ დარჩენილ დროში კარგად მოვემზადო და იქ თითოეული ბრძოლის მოსაგებად ბოლომდე დავიხარჯო. ის რაც წინა ოლიმპიადაში უნდა ჩამედო, პეკინისას დაემატება და მთელი ენერგიით და ჯიგრით ვიჭიდავებ.

**ლექსო მაისურაძე**



## ევროპის ერთა თასი

## რუსეთი — საქართველო

12 აპრილი. კრასნოიარსკი. 12 საათი



რუსები იკრიბებიან

# რეპორტაჟი საეჭვოა

## რუსებს ადგილის და ადგილობრივების ეიმედებათ

**12 აპრილი** ახლოვდება, რუსეთთან უპრინციპულეს ჯახამდე ორი დღელა რჩება. ქართველები საი დღეა კრასნოიარსკში არიან და იქაურ გაყინულ მოედნებზე ახურებენ ხელ-ფეხს.

ქართველი „ლელოების" მოწინააღმდეგე რუსი „დათვები" კი 4 აპრილიდან გაფართოებული შემადგენლობით შეიკრიბნენ კრასნოიარსკში. სამზადისში გართულებმა კრასნოიარსკის ნაკრებთან სპარინგ-მატჩიც გამართეს. აღსანიშნავია, რომ რუსთა გაუცხრილავ სიაში ნ ადგილობრივი მობურთალია. ანდრეი გარბუზოვი, ალექსანდრე გვოზდოვსკი, იგორ გალინოვსკი „კრასნი იარში" ირიცხებიან, ხოლო ივან პრიშჩენკო, ვალერი ფედჩენკო და ალექსეი კორობეინიკოვი ასევე ადგილობრივ „ენისეისიბტიაჟმაშში" რაგბობენ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გაურკვეველია პირდაპირი რეპორტაჟის ბედი. „რტრ-სპორტსა" და „ევროსპორტ 2-ს" თამაშის რეპორტაჟი პროგრამაში კი უწერიათ. მაგრამ ციმბირში მყოფი ქართული დელეგაცია იუწყება, რომ ამ მხრივ ჯერ [illegible] არ არის.

**ზურაბ მიგრიაული**

### რუსეთის გაფართოებული შემადგენლობა

**უკანა ხაზი:** იგორ კლიუჩნიკოვი, ანდრეი კუზინი, ოლეგ კობზევი, ალექსანდრ გვოზდოვსკი, სერგეი ტრიშინი, იგორ გალინოვსკი, მიხაილ ბაბაევი, სერგეი ბელოუსოვი, იური კუშნარიოვი, ალექსეი კორობეინიკოვი, ალექსანდრ შაკიროვი, ვიკტორ მოტორინი, ალექსანდრ იანიუშკინი

**შერკინება:** ალექსანდრ ბრონკინი, ვლადიმირ მარჩენკო, ივან პრიშჩენკო, ვლადიმირ ბოტვინიკოვი, ალექსეი ჩერნიშოვი, კირილ კულიომინი, ანდრეი ოსტრიკოვი, ვალერი ფედჩენკო, ოლეგ აზარენკო, ვიკტორ გრესევი, ვლადისლავ კორშუნოვი, ალექსეი პანასენკო, არტიომ ფატახოვი, ანდრეი გარბუზოვი, ევგენი მატვეევი, ვიაჩესლავ გრაჩოვი



# ევროპა ლისაბონში, პრეზიდენტი საქართველოში

**გუშინ** ალიონზე საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ლისაბონში გაემგზავრა. პორტუგალიაში 11-13 აპრილს ევროპის ჩემპიონატი გაიმართება როგორც კაცთა, ასევე ქალთა შორის. ჩვენი ნაკრების საევროპო შემადგენლობა ადრეც არაერთხელ დავწერეთ — ქართველ ფალავანთა შვიდეული ერთი თვის წინ დასახელდა და დღემდე უცვლელია. გუნდი ოპტიმალურ ფორმაშია, ტრავმა არავის აწუხებს და ცხადია, მედლებიც იგეგმება.

ქართველები ევროპის ბოლოში მიფრინავენ, ამასობაში კი საქართველოში ჩამოდიან ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი მარიუს ვიზერი და საპატიო პრეზიდენტი შანდორ სანი მსოფლიო ძიუდოს მამები 10 აპრილს 12 საათზე სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტში" პრესკონფერენციას გამართავენ, შემდეგ სტუმრები საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს შეხვდებიან, მერე კი დიღომში მშენებარე ძიუდოს ცენტრსაც მოინახულებენ.

### საქართველო ევროპირველობაზე

ნესტორ ხერგიანი 60 კგ
ზაზა კედელაშვილი 66 კგ
დავით ქევხიშვილი 73 კგ
გიორგი ბაინდურაშვილი 81 კგ
ირაკლი ცირეკიძე 90 კგ
ლევან ჟორჟოლიანი 100 კგ
ლაშა გუჯეჯიანი +100 კგ

**ზურაბ მიგრიაული**



# ლიცენზიისკენ ოთხმა გაიწია

**საქართველოს** მოკრივეთა ნაკრებისთვის ათენში მიმდინარე სალიცენზიო ტურნირის მეორე დღე შედეგიანი გამოდგა. 5 მოკრივიდან ლიცენზიისთვის ბრძოლას 4 განაგრძობს. 57 კილოგრამში [illegible] 60 კილოგრამში [illegible] გამოსვლა მოგებით დაიწყო და ჰოლანდიელ [illegible] 26:9 [illegible] მეოთხედფინალში ბოსნიელი [illegible] ლევან ლეჟავამ (64 კგ) [illegible] 20:8 და ახლა ლიტველ [illegible] ბრძოლებს.

69 კგ-ში ჩვენებურმა კახაბერ [illegible] ნიჩის ძლევის შემდეგ ბულგარელ ევგენი ბორისოვსაც იგივე დამართა — 18:2. [illegible] მეოთხედფინალში ლატვიელ დიმიტრი სასტაკსთან იბრძოლებს. გიორგი ნაკაშიძე (75 კგ) კი დავით წიკლაურის მსგავსად პირველივე წრეში წააგო ფრანგ ჟან-მიშელ რეიმონდთან და ბრძოლას გამოეთიშა.

**ლექსო მაისურაძე**

# სასახლე და ვარსკვლავები

## ქართულმა ოლ სტარმა ინტერნეტში შეიარა



არ არსებობს პროფესიული საკალათბურთო ლიგა, სადაც ყველა ვარსკვლავის მატჩი, ეგრეთ წოდებული ოლ სტარი არ იმართებოდეს. საქართველოში უკვე ორი წელია,- სუპერლიგა შეიქმნა და ვარსკვლავების მატჩის ორგანიზებაც შედარებით მოწესრიგდა. თავდაპირველად ოლ სტარისთვის მოთამაშეებს მწვრთნელები ირჩევდნენ, შემდეგ საქმეში გულშემატკივრები ჩაერთვნენ და სუპერლიგის შექმნის შემდეგ გამოკითხვამ ვირტუალურ სფეროში გადაინაცვლა.

კალათბურთის ფედერაციის ვებგვერზე (gbf.ge) დღეიდან ოლ სტარისთვის მოთამაშეთა შერჩევა დაიწყო. თითოეულ გულშემატკივარს ყოველდღე ერთხელ ექნება ხმის მიცემის საშუალება და საბოლოოდ მეტოქე გუნდების ხუთეულებიც გამოვლინდება, ხოლო სათადარიგოებს მწვრთნელები დაასახელებენ.

მეტოქეების ცხრილში კენტ და ლუწ ადგილებზე მყოფი გუნდებიდან აირჩევენ მეოთხე წრის გათვალისწინებით. ანუ „ენერჯი-ინვესტიდან“, „ავიამშენიდან“ და „დინამოდან“ შერჩეულები ერთ გუნდში იქნებიან, ხოლო თსუ-დან, „ვიოლადან“ და „მაკაბიდან“ არჩეულები — მეორეში.

მწვრთნელებიც ასეთივე პრინციპით შეირჩა: პირველ ვარსკვლავურ გუნდს მეოთხე წრის ლიდერის, „ენერჯი-ინვესტის“ თავკაცი დავით უსტიაშვილი გაუძღვება, ხოლო მეორეს — თსუ-ს დამრიგებელი ნუგზარ ჭეიშვილი. შარშანდელისგან განსხვავებით, მეოლსტარე მწვრთნელებს ასისტენტები არ ეყოლებათ.

ყველა ვარსკვლავის მატჩის პარალელურად ტრადიციულად სხვადასხვა საინტერესო კონკურსები გაიმართება — სამქულიანების, ჩატენვებისა და გამთამაშებელთა შეჯიბრი.

გუშინ კლუბ „12 მაგიდაში“ საინტერნეტო-საოლსტარო გამოკითხვის დაწყებასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც მომავალი მეტოქე გუნდების მწვრთნელები და შარშანდელი ოლ სტარის კონკურსებში გამარჯვებულები დაესწრნენ.

დავით უსტიაშვილი: „ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო დაპირისპირება გამოვა და მაყურებელიც მრავლად მოვა. შარშანდელმა ოლ სტარმა კარგ ვითარებაში ჩაიარა და ეს ალბათ უკეთესი იქნება.“

ნუგზარ ჭეიშვილი: „პირველად არ ვმონაწილეობ ყველა ვარსკვლავის მატჩში და ძალიანაც მომწონს ეს წამოწყება. ამგვარი მატჩები საკმაოდ საინტერესოა. მართალია, სპორტული მხარე ნაკლებია, ვიდრე სანახაობრივი, მაგრამ ეს ხომ შოუა და რაც უფრო ლამაზად ითამაშებენ მატჩის მონაწილეები, მით უფრო ესიამოვნება გულშემატკივარს. კარგია, რომ თამაში და კონკურსები სპორტის სასახლეში იმართება იმედი მაქვს, ამ სანახაობას მაყურებელი არ მოაკლდება.“

კოტე ტუღუში, სამქულიანების კონკურსის შარშანდელი გამარჯვებული: „ვეცდები, ტიტული დავიცვა და ერთხელაც დავუმტკიცო საკუთარ თავს, რომ კარგი მსროლელი ვარ. შარშან რომ გავიმარჯვე, ნოდარ ბერაიამ ნახევარფინალში 23 ქულა დააგროვა, რაც სუპერლიგის ოლ სტარების რეკორდია. მე ამ შედეგის გაუმჯობესებას არ ვეშურები, მთავარია, გავიმარჯვო და ჩაგდებულების ოდენობას პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს.“

დავით ბარბაქაძე, ჩატენვების კონკურსის შარშანდელი გამარჯვებული: „ჯერ არ ვიცი, როგორი ილეთით ჩავტენი ბურთებს, მაგრამ ვეცდები, რამე ორიგინალური მოვიფიქრო. შარშან სკამებს გადავახტი, ადამიანიც დავაყენე ფარქვეშ და ისე ჩავტენე, მაგრამ ჯერ თავში არაფერი მომდის. ოლ სტარამდე საკმაო დროა და ვიფიქრებ.“

დავით არწივიძე, გამთამაშებელთა შეჯიბრის შარშანდელი გამარჯვებული: „წლეულს გაცილებით მეტი კონკურენცია იქნება უკანახაზელთა შეჯიბრში საკმაოდ სწრაფი მიშა ჩიტაშვილი დაგვემატა, ლაშა გამყრელიძეც იქნება და ვფიქრობ, საინტერესო კონკურსი უნდა გამოვიდეს.“

ოლ სტარს 3 მაისს, 15 საათზე სპორტის სასახლე უმასპინძლებს.

**ირაკლი პერტაია**

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ინდი-მინდიანა

## ატლანტას კარს მოადგნენ

8 აპრილი

**ინდიანა 112:98 ატლანტა**

ინდიანა: მიურეი (20 ქულა, 10 პასი), დანლივი (28), გრეინჯერი (16), მერფი (7), ფოსტერი (10); დანიელსი (15), ონილი (10), უილიამსი (4), დინერი (2), რაში

ატლანტა: ბიბი (2), ჯონსონი (30), უილიამსი (11), სმიტი (25 ქულა, 13 მოხსნა), ჰორფორდი (5); ჩილდრესი (16), სტუდემაიერი (6), ფაჩულია (23 წუთი, 4 ქულა, 5 მოხსნა), ჯონსი

**შარლოტი 121:119 მინესოტა**

შარლოტი: რიჩარდსონი (36), კეროლი (22), ოკაფორი (20), მუჰამედი (17), ფელტონი (15 ქულა, 11 პასი)

მინესოტა: ჯეფერსონი (40 ქულა, 10 მოხსნა), გომესი (24), ფოი (19)

**მაიამი 95:88 ჩიკაგო**

მაიამი: პაუელი (18), ქუინი (16), დევისი (16)

ჩიკაგო: დენგი (25), ნოა (16 ქულა, 13 მოხსნა), გორდონი (16)

**დეტროიტი 94:98 ნიუ იორკი**

დეტროიტი: ჯონსონი (14)

ნიუ იორკი: ჩანდლერი (19), კროუფორდი (16)

**ნიუ ორლეანი 66:77 იუტა**

ნიუ ორლეანი: სტოიაკოვიჩი (15), ვესტი (14)

იუტა: ოქური (22 ქულა, 17 მოხსნა)

**მილუოკი 104:107 ბოსტონი**

ძირითადი დრო 99:99

მილუოკი: რედი (25), ბოგუტი (15 ქულა, 15 მოხსნა, 5 პასი, 4 დაფარება)

ბოსტონი: გარნეტი (21), ალენი (17), პოუზი (16), პირსი (14)

**მემფისი 113:127 ფინიქსი**

მემფისი: გაი (36), კონლი (19)

ფინიქსი: სტუდემაიერი (28 ქულა, 11 მოხსნა), ბელი (18), ჰილი (17), ნეში (16)

**დალასი 99:83 სიეტლი**

დალასი: ტერი (22), ჰოვარდი (17), ნოვიცკი (11 ქულა, 12 მოხსნა)

სიეტლი: უოტსონი (22), დურანტი (16)

**პორტლენდი 112:103 ლეიკერსი**

პორტლენდი: როი (23 ქულა, 12 პასი), ოლდრიჯი (22 ქულა, 16 მოხსნა), ფრაი (22 ქულა, 11 მოხსნა)

ლეიკერსი: ბრაიანტი (34), გასოლი (21 ქულა, 13 მოხსნა), რადმანოვიჩი (17)



**კლიპერსი 99:117 დენვერი**

კლიპერსი: მოზლი (25), ბრენდი (17)

დენვერი: ენტონი (36), აივერსონი (21 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), კემბი (13 ქულა, 18 მოხსნა)

**გ. სტეიტი 140:132 საკრამენტო**

გოლდენ სტეიტი: დევისი (33), ჯექსონი (20), ბიერდინსი (17 ქულა, 17 მოხსნა), ჰარინგტონი (17), ელისი (16)

საკრამენტო: გარსია (31), მარტინი (29), სალმონსი (22)

**„ატლანტა ჰოქსმა“** ინდიანაპოლში მაგრად შეურყიეს საპლეიოფო ეიფორიით გამოვსებული თავი. იქაურმა „ინდიანა პეისერზმა“, რომელიც ალბათ უპლეიოფოდ დარჩება, ისეთ დღეში ჩააგდო ჯორჯიიდან ნასტუმრები მეტოქე, ალბათ ამ მატჩის მნახველმა უკლებლივ ყველა გულშემატკივარმა იფიქრა — აფსუს, რა გუნდი რჩება პლეი ოფს გარეთ, და ვინ მოხვდა იქო.

ახლა, როცა რეგულარულ ჩემპიონატში 4-4 მატჩი დარჩათ ჩასატარებელი და „ატლანტა“ ორი მოგებით უსწრებს „ინდიანას“, ამ უკანასკნელის ფაცი-ფუცი კარის გაჯახუნების მცდელობას ჰგავს, მაგრამ ინდიარელები მაინც ცდილობენ თავისას. აგერ, ზედიზედ მესამედ მოიგეს, ბოლო 12 მეტოქიდან კი 9 დასცეს. „იმას ვნატრობთ, ნეტავ, წინ 10 თამაში გვქონდეს-მეთქი, მაშინ ხომ დროში აღარ ჩავიწევბოდით“ — მოგების მიუხედავად, დანაღვლიანებული ჩანდა „პეისერზის“ ვეტერანი ჯერმენ ონილი.

ის, რომ „ინდიანა“ კარგი გუნდია, „ატლანტას“ ლიდერმა ჯო ჯონსონმაც ალალად აღიარა — ჯიგრიანი ბიჭები არიან, შემადგენლობით არა და შემართებით კი გვჯობნიან, არც მიკვირს, სამი მეოთხედი 21 ქულით რომ მოგვიგესო.

პლეი ოფის მერვე, უკანასკნელი ვიზისთვის ფიცხელი ბრძოლა გრძელდება დასავლეთშიც. 10 აპრილს „გოლდენ სტეიტი“ და „დენვერი“ უშუალოდ ერთმანეთს ეჭიდებიან და ეს ჯახი იქნება გადამწყვეტიც ალმოჩნდეს, მანამდე კი 8 აპრილს ორივემ მოიგო. „გოლდენ სტეიტმა“ შინ „საკრამენტო“ დაამარცხა. შეხვედრის, რომელშიც ორივე გუნდმა გმირული უარი თქვა საკუთარი კალათის დაცვაზე და გამარჯვების ძიება მეტოქის ნახევარზე დაიწყო. ბარონ დევისისგან დაქოქილმა გსტეიტელებმა პირველ მეოთხედში 39 ქულა ჩაუგდეს „საკრამენტოს“, მეორეში 38 მოიხვეჭეს, მესამეში ცოტა დააგდეს ტემპი — დაიღლებოდნენ, აბა, რა იქნებოდა — მაგრამ მეოთხეში ღონე მოიკრიბეს და 37 ქულაც ამ 12-წუთეულში გაახერხეს, რის შემდეგაც საბოლოოდ 140 ქულა გამოუვიდათ და სეზონის პირადი რეკორდიც შერჩათ გამარჯვებასთან ერთად.

„დენვერმაც“ ბლომად ქულები დააყარა ასევე უმოტივაციო „საკრამენტოს“, თუმც „გოლდენ სტეიტის“ მსგავსად, უხვი მოსავალი ვერ აიღო. არა უშავს, მოგებითაც კმაყოფილი დარჩა, მით უფრო, რომ ამ დღეებში ორი თამაში წააგო საკუთარი სისულელით.

ასევე ქულუხვი გამოვიდა პლეიოფდაბევებული „ფინიქსის“ გასვლა მემფისში. არიზონელებს ... საც პლეი ოფისთვის ასვენებენ, ასე რომ, „მემფისს“ ძველებურად ლალად შეუტიეს და 52-ე გამარჯვება ჩაიწერეს. სხვათა შორის, ახლა „ფინიქსი“ დასავლეთში მეექვსე კია, მაგრამ მესამეობის კარგი შანსი აქვს, თუ წყნარი ოკეანის დივიზიონში „ლეიკერსს“ გაასწრებს და იქ პირველობით დასავლეთის გაერთიანებულ ცხრილში უფრო მაღალ ადგილს დაიბევებს. აგერ, „ლეიკერსმაც“ დაბარებულივით წააგო „პორტლენდთან“ და „ფინიქსს“ ერთი მოგებითღა აღემატება.

არც ისაა გამორიცხული, დასავლეთის ლიდერიც შეიცვალოს — ჯერაც პირველია „ნიუ ორლეანი“, თუმც მან შინ წააგო „იუტასთან“ და ეს პირველობაც შეერყა, ამასთან ფსიქოლოგიური დარტყმაც მიიღო, მხოლოდ 66 ქულა შეაკოწიწა და სეზონის პირად ანტირეკორდს გამოჰკრა ხელი.

**ივანე კობიაშვილი**

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ბოსტონი* | 62 | 15 | 80,5 |
| *დეტროიტი* | 55 | 22 | 71,4 |
| *ორლანდო* | 48 | 29 | 62,3 |
| **კლივლენდი** | 42 | 35 | 54,5 |
| **ვაშინგტონი** | 40 | 37 | 51,9 |
| **ფილადელფია** | 39 | 38 | 50,6 |
| **ტორონტო** | 38 | 39 | 49,4 |
| ატლანტა | 36 | 42 | 46,2 |
| ინდიანა | 34 | 44 | 43,6 |
| ნიუ ჯერსი | 32 | 45 | 41,6 |
| ჩიკაგო | 30 | 47 | 39,0 |
| შარლოტი | 30 | 48 | 38,5 |
| მილუოკი | 26 | 51 | 33,8 |
| ნიუ იორკი | 22 | 56 | 28,2 |
| მაიამი | 14 | 64 | 17,9 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| *ნიუ ორლეანი* | 54 | 23 | 70,1 |
| **სან ანტონიო** | 53 | 24 | 68,8 |
| *ლეიკერსი* | 53 | 25 | 67,9 |
| *იუტა* | 52 | 26 | 66,7 |
| **ჰიუსტონი** | 52 | 25 | 67,5 |
| **ფინიქსი** | 52 | 26 | 66,7 |
| დალასი | 49 | 29 | 62,8 |
| დენვერი | 47 | 31 | 60,3 |
| გოლდენ სტეიტი | 47 | 31 | 60,3 |
| პორტლენდი | 39 | 39 | 50,0 |
| საკრამენტო | 36 | 42 | 46,2 |
| კლიპერსი | 23 | 55 | 29,5 |
| მემფისი | 21 | 57 | 26,9 |
| მინესოტა | 19 | 58 | 24,7 |
| სიეტლი | 18 | 60 | 23,1 |

*პირველ ოთხეულში გარანტირებული აქვს ადგილი სამი დივიზიონის სამ ლიდერს (აღნიშნულია დახრილი შრიფტით); მთავრული შრიფტით გამორჩეულები გავიდნენ პლეი ოფში*

## პლეი ოფი. პირველი წრე

# ცეცხლი ყინულზე



სიდნი კროსბი

დღეიდან ჩრდილო ამერიკის ყინულიან მოედნებზე ნამდვილი ცეცხლი დაინთება და 2007-08 წლების რჩეული 16 გუნდი სტენლის თასისთვის გააჩაღებს დაუნდობელ ბრძოლას. სწორედ ახლა იწყება ულევი ემოციებით, ჟინითა და ადრენალინით გაჟღენთილი სანახაობა, რომელიც უახლოესი ორი თვის განმავლობაში ჰოკეის ყველა ჭეშმარიტი გულშემატკივრის გემოვნებას დაატკბობს.

სანამ ყველაფერი ეს დაწყებულა, ურიგო არ იქნება, თვალი გადავავლოთ ჩამოყალიბებულ საპლეიფო წყვილებს, გავიხსენოთ, როგორ ითამაშეს გუნდებმა ერთმანეთთან რეგულარულ სეზონში და რა შანსებით ხვდებიან მომავალ დაპირისპირებებს.

**ბახა ლომაშვილი**

## აღმოსავლეთ კონფერენცია

### მონრეალი (1) VS ბოსტონი (8)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 8-0

ნჰლ-ის ორი უძველესი გუნდის დაპირისპირება მართლაც დიდ ინტერესს იწვევს და ჩრდილოეთ ამერიკაშიც ამ ჯახს ხელების ფშვნეტით ელიან. თუმცა სულ სხვა განწყობაზე არიან ბოსტონელები, რომლებსაც სწორედ ამ მეტოქესთან თამაში ისტორიულადაც ეუხერხულებათ და მაინდამაინც ვერც ბოლო ხანებში ჩაუქობენ.

ასე განსაჯეთ — „ბოსტონი" „მონრეალს" პლეი ოფში აქამდე 30-ჯერ შეხვდა და მხოლოდ 7-ჯერ იმარჯვა. „დათვებმა" ვერც წლევანდელ რეგულარულში გააწყვეს რამე „კანადიენსთან" და ყველა შეხვედრა დათმეს. „მონრეალის" ერთადერთ სუსტ წერტილად მეკარის გამოუცდელობა მოჩანს. თუმცა ამ გუნდს ახალბედა კიპერებთან ერთად სტენლის თასი მოგება კარგად გამოსდის — ასე იყო კენ დრაიდენისა და პატრიკ რუას დროს და ეგებ კერი პრაისმაც იყოჩაღოს.

ბევრი რამ იქნება დამოკიდებული „ბოსტონის" კარის დარაჯ ტიმ ტომასზეც, რომლის სასწაულების გარეშეც „დათვებს" წარმატების მინიმალური შანსი ექნებათ.

*ვინ გავა: „მონრეალი" (4:1)*

### პიტსბურგი (2) VS ოტავა (7)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 2-2

შურისძიების დროც მოსულა. ყოველ შეხვედრაში ასე უყურებენ ამ სერიას ახალგაზრდა პიტსბურგელები, რომლებსაც ჯერაც არ დავიწყებიათ „ოტავასგან" შარშან ამავე ეტაპზე ნატკიცი ალიყური. თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით, ამჯერად უეჭველი ფავორიტის რანგში „პინგვინები" იქნებიან.

წლეულს „პიტსბურგი" მხოლოდ ერთი კაცის, სიდნი კროსბის გუნდი აღარ არის. „პატარა სიდს" წლეულს ტრავმების გამო ბევრი გაუცდა, რის გამოც კაპიტანი იდეალურად ჩაანაცვლა ევგენი მალკინმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ კანადელ ვუნდერკინდზე ნაკლები დონის მოთამაშე არ არის. ამას დაამატეთ დედლაინზე შეძენილი სნაიპერი მარიან ჰოსა და... სწორედ ამიტომ „ანტარქტიდის ბინადრები" მხოლოდ ამ სერიის კი არა, მთლიანად კონფერენციის მოგების უმთავრეს პრეტენდენტებად მიიჩნევიან.

„ოტავაში" კი ყველაფერი თავდაყირა დგას — „სენატორებმა" სეზონის მიწურული ამაზრზენად ითამაშეს და კინაღამ პლეი ოფს მიღმა დარჩნენ. არეულობა და უთანხმოებაა გუნდის შიგნითაც. თანაც კანადელებს სერიის დაწყება ერთ-ერთ წამყვან ცენტრ მაიკ ფიშერისა და უდავო ლიდერ და კაპიტან დანიელ ალფრედსონის გარეშე მოუწევთ.

*ვინ გავა: „პიტსბურგი" (4:2)*

### ვაშინგტონი (3) VS ფილადელფია (6)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 2-2

ამ სერიის ბედი ერთ კაცზე — რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირსა და სნაიპერ ალექსანდერ ოვეჩკინზე იქნება დამოკიდებული. თუ რუსი სუპერვარსკვლავი, რომელსაც დებიუტი ექნება პლეი ოფში, ისევე იჩაუქებს, როგორც მთელი სეზონის განმავლობაში, მაშინ „ვაშინგტონს" შანსი აქვს. თუ „მფრინავებმა" შეძლეს მისი გაკავება, მაშინ დედაქალაქურ გუნდს მაგრად გაუჭირდება.

„ფილადელფიას" უფრო თანაბარი შემადგენლობა ჰყავს და ალბათ ფავორიტადაც ის უნდა ჩაითვალოს, რადგანაც პლეი ოფში პიროვნებები კი არა, გუნდები იმარჯვებენ.

*ვინ გავა: „ფილადელფია" (4:2)*

### ნიუ ჯერსი (4) VS რეინჯერსი (5)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 1-7

საერთოდ „ნიუ ჯერსი" წლების განმავლობაში მანჰეტენური გუნდის სასჯელად ითვლებოდა, რადგანაც „ეშმაკები" ძალიან ხშირად ამწარებდნენ „რეინჯერებს". თუმცა წლეულს ნიუიორკულმა გუნდმა ისწავლა უხერხულ მეტოქესთან თამაში და ამიტომაც ამ წყვილში ფავორიტად მიიჩნევა „რეინჯერსს" მეტოქეზე გაცილებით სახელიანი და სოლიდური შემადგენლობა ჰყავს, თან ფორმაში შევიდა კაპიტანი იარომირ იაგრიც. მარტინ ბროდი, რა თქმა უნდა, დიდი მეკარეა, მაგრამ საეჭვოა, რაიმე შეცვალოს ძალთა განლაგებაში

*ვინ გავა: „რეინჯერსი" (4:2)*

## დასავლეთ კონფერენცია

### დეტროიტი (1) VS ნეშვილი (8)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 5-3

„დეტროიტმა" ბოლო ექვს სეზონში მეოთხედ მოიგო „პრეზიდენტის თასი", რაც რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს გადაეცემა და ეს თავისთავად ბევრზე მეტყველებს, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩრდილოეთ ამერიკაში კიდევ ბევრს შეაქვს ეჭვი „წითელფრთიანთა" სიძლიერეში და მათ პლეი ოფიდან ნაადრევ გამოვარდნას უწინასწარმეტყველებს. ასეთი მიდგომა აწყობს მიჩიგანელთა დამრგებელ მაიკ ბებკოკს, რომელმაც მხოლოდ ეს თქვა — ყველაფერს ყინულზე დაგანახვებთო.

„დეტროიტი" მაინც უეჭველ ფავორიტად მოჩანს. „ნეშვილისთვის", რომელმაც გასულ ზაფხულს თავისი ლიდერები ჩამოარიგა, პლეი ოფში მოხვედრაც დიდი მიღწევაა, მაგრამ საეჭვოა, „მტაცებლებმა" ჩემპიონატის საუკეთესო გუნდს რამე დაუპირისპირონ.

*ვინ გავა: „დეტროიტი" (4:1)*

### სან ხოსე (2) VS კალგარი (7)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 2-2

ამ წყვილში, როგორც არც ერთ დანარჩენში, მნიშვნელოვანი იქნება მეკარეთა თამაში. აქ ბევრს გადაწყვეტს „ზვიგენი" ევგენი ნაბოკოვისა და „ალი" მიკა კიპრუსოფის დაპირისპირება.

ისე, ეს სერია ყველაზე დამაინტრიგებელია, რადგანაც ორივე გუნდი ძალისმიერი სტილის მიმდევარია. ამიტომაც აქ უამრავ ორთაბრძოლასა და ჩაკეტილ ჰოკეის უნდა ველოდოთ. „სან ხოსეს" ძალიან დასჭირდება ლიდერ ჯო ტორნტონის ჩაქრობა — ეს ბიჭი აქამდე პლეი ოფში „იკარგებოდა" და თუ ახლაც სხვის ზურგს ამოეფარა, ჯერომ იგინლა და კომპანია „ზვიგენებს" ნელ ცეცხლზე შებრაწავენ

*ვინ გავა: „სან ხოსე" (4:3)*

### მინესოტა (3) VS კოლორადო (6)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 5-3

ამ წყვილში მჯობნის გამოვლენა ფრიად გაჭირდება. ერთის მხრივ გამოცდილი „კოლორადოა", რომელმაც დედლაინზე ადამ ფუტისა და პეტერ ფორსბერგის დამატებით თითქმის ისეთივე სახე მიიღო, როგორიც ლოკაუტამდე ჰქონდა. დენვერელებისთვის ყველაზე მნიშნელოვანი ტრავმების თავიდან აცილება იქნება, რადგანაც იმავე ფორსბერგსა და კაპიტან ჯო საკიკს წლის დიდი ნაწილი ისედაც ლაზარეთში აქვთ გატარებული. თუ დაზიანებებს გადაურჩნენ, „კოლორადოს" შეუძლია ამ ბარიერის გადალახვა.

მეორე მხარეს კი „მინესოტა" დგას, რომელსაც ლიგის ალბათ ყველაზე ცბიერი მწვრნელი ჟაკ ლემერი თავკაცობს, მას კი ყოველთვის შეუძლია ისეთი სიახლის გამოგონება, რომ ნებისმიერი მეტოქე პირში ჩალაგამოვლებულ დატოვოს.

*ვინ გავა: „კოლორადო" (4:3)*

### ანაჰაიმი (4) VS დალასი (5)

ურთიერთშეხვდრები რეგულარულ ჩემპიონატში: 3-5

მოქმედმა ჩემპიონმა „ანაჰაიმმა" სეზონი მძიმედ კი დაიწყო, მაგრამ ჯერ ლაზარეთის დაცარიელების, შემდეგ კი პენსიიდან ყინულზე სკოტ ნიდერმაიერისა და ტეემუ სელიანეს დაბრუნებისთანავე გუნდმა ისევ დაიწყო თავისი ზეძალისმიერი თამაშის ჩვენება და ამიტომ ბევრის აზრით ტიტულის შენარჩუნების მშვენიერი შანსიც აქვს. მით უმეტეს, რომ შარშანდელისგან განსხვავებით, „იხვებს" მატება აქვთ წინაც და უკანაც — დაცვას მეტ შნაიდერი გააძლიერებს, ხოლო შეტევას ტოდ ბერტუცი ალესავს

ძალიან ცოტა ჩამოდის ფონს „დალასზე", რომელმაც, მართალია, „იხვებს" 8-დან 5 შეხვედრა მოუგო, მაგრამ ტეხასელებმა ძირითადად მაშინ იხეირეს, როცა ჩემპიონები განახევრებული შემადგენლობით თამაშობდნენ. „დალასის" წარმატება თითქმის მთლიანად მათ ტუტუც მეკარე მარტი ტურკოზე იქნება დამოკიდებული, რომელიც აქამდე პლეი ოფში კარგი თამაშით არასოდეს გამოირჩეოდა. თუმცა ვინ იცის, ეგებ ტურკომ წლეულს მაინც გაამართლოს მასზე გაცემული ავანსები და დაამტკიცოს, რომ მართლაც სერიოზული მეკარეა.

*ვინ გავა: „ანაჰაიმი" (4:2)*



მიკა კიპრუსოფი

# ჩემპიონთა ლიგა 2007–2008

## მეოთხედფინალი. საპასუხო მატჩები. ღუხელ

# მანჩესტერი რომას ერთი თავით სჯობია



**ბარსელონა 1:0 შალკე (1:0)**

1:0 ტურე (43)

ბარსელონა: ვალდესი, ძამბროტა, ტურამი, პუიოლი, აბიდალი, ხავი, ი. ტურე (მარკესი 81), ინიესტა, კრკიჩი (დოს სანტოსი 73), ეტოო, ანრი (გუდიონსენი 90)

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

შალკე: ნოიერი, რაფინია (ლარსენი 77), ბორდონი, კრსტაიჩი, ვესტერმანი, ჯონსი, ერნსტი, კობიაშვილი (გროსმიულერი 32), ალტინტოპი, ასამოა (სანჩესი 69), კურანი

მწვრთნელი: მირკო სლომკა

გაფრთხილება: რაფინია, ვესტერმანი, პუიოლი

მსაჯი: რობერტო როზეტი (იტალია)

88 000 მაყურებელი

**მანჩესტერი 1:0 რომა (2:0)**

1:0 ტევესი (70)

*დე როსიმ ვერ გაიტანა პენალტი (30, მეკარე)*

მანჩესტერი: ვან დერ სარი, ბრაუნი, პიკე, ფერდინანდი, სილვესტრი, ჰარგრივსი, პარკი, კარიკი (ოშე 74), ანდერსონი (გ. ნევილი 81), გიგზი (რუნი 74), ტევესი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

რომა: დონი, პანუჩი, მექსესი, ჟუანი, კასეტი (ტონეტო 57), დე როსი, პიზარო (ჟული 69), ტადეი (ესპოზიტო 81), პეროტა, მანსინი, ვუჩინიჩი

მწვრთნელი: ლუჩანო სპალეტი

გაფრთხილება: პეროტა

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

74 423 მაყურებელი







**რაც შეეძლო,** იწვალა „რომამ“, მაგრამ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ „გლადიატორთა“ საპასუხო მატჩმაც გამოაჩინა, რომ დღეს ინგლისელები უკეთესნი არიან, ვიდრე იტალიელები.

თუ „რომას“ რამე შეეძლო, 30-ე წუთზე უნდა დამეტკიცებინა, როცა ორმხრივი იერიშების შემდეგ, მასპინძელთა კარში პენალტი დაინიშნა და ფრანჩესკო ტოტის არყოფნაში მისი შესრულება დანიელე დე როსიმ ითავა. იტალიის ნაკრების ნახევარმცველმა ბურთი კარს გადააცილა, მერე მაისურა თავზე კი წამოიცვა და წუხდა, მაგრამ...

მეორე ნახევარში „რომას“ ასეთი რეალური შანსი არ მისცემია და ნახევრად მეორე შემადგენლობით მოთამაშე „მანჩესტერმაც“ თავისი გაიტანა — 70-ე წუთზე ოუენ ჰარგრივსმა მშვენივრად ჩააწოდა, კარლოს ტევესმა კი ვარდნაში მოხდენილი თავურით ბურთი ალეშანდერ დონის კარში გადაგზავნა და 1:0.

დარჩენილ დროში გამსაკუთრებული არარაფერი მომხდარა და სერ ალექს ფერგიუსონის „მანჩესტერი“ ნახევარფინალში გავიდა, სადაც „ბარსელონას შეხვდება.

კატალონიელებმა მშობლიურ „კამპ ნოუზე“ იმ ანგარიშით დაამარცხეს ლევან კობიაშვილის „შალკე“, როგორითაც ერთი კვირით ადრე მისივე „ველტინს-არენაზე“ მოუგეს — 1:0.

არადა, გელზენკირხენელებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს და ამ მხრივ კობიც გამოირჩეოდა, მაგრამ სტუმართა ენერგიულობას შედეგი არ მოყვა. ლევანი კი 32-ე წუთზე გროსმიულერით შეცვალეს.

„ბარსამ“ ყველაფერი 43-ე წუთზე „მოამთავრა“, როცა იაია ტურემ თავისივე დაწყებული კომბინაცია, ბოიან კრკიჩის აქტიურობის მერე, თავადვე დაასრულა — მარსელო ბორდონი და მლადენ კრსტაიჩი უძლურნი გამოდგნენ. ეს არსენალელი კოლო ტურეს უმცროსი ძმის პირველი გოლი გახლდათ ჩემპიონთა ლიგაში.

დარჩენილ დროში უფრო მეტი მომენტი მასპინძლებს ჰქონდათ, ისე კი სახიფათო მომენტები ორივე კართან შეიქმნა, მაგრამ არარაფერი შეცვლილა. სტუმრები რამდენჯერმე მათმა ნიჭიერმა მეკარემ მანუელ ნოიერმა იხსნა და მთლიანობაშიც, მეტოქეთა შესაძლებლობებს შორის სხვაობა შეიარაღებული თვალითაც შესამჩნევი გახლდათ.

64-ე წუთზე „ბარსელონას“ კაპიტანმა კარლეს პუიოლმა ყვითელი ბარათი მიიღო და „მანჩესტერთან“ პირველ ნახევარფინალურ მატჩს გამოტოვებს, რაც, ალბათ, ძალიან ესიამოვნებოდა „წითელი ეშმაკების“ თავკაცის, სერ ალექს ფერგიუსონის ძმას, რომელიც ამ მატჩს ესწრებოდა და, შესაბამისად ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნახევარფინალში ერთამნეთს „მანჩესტერი“ და „ბარსელონა“ დაუპირისპირდებოდნენ...

**გიორგი ძაძაგაძე**

**ნახევარფინალი**

**ბარსელონა — მანჩესტერი**

***პირველი მატჩი გაიმართება 23 აპრილს, საპასუხო — 30 აპრილს***

### ინგლისი

ჩემპიონატი
გადადებული მატჩები

იფსვიჩი 1:1 კარდიფი
უოტფორდი 0:3 ბარნსლი

მეორე ლიგა
გადადებული მატჩი

სტოკპორტი 2:1 მენსფილდი

### გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

ვუპერტალი 1:1 ბრაუნშვაიგი

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩი

სენტ ეტიენი 2:0 ლანსი

### შოტლანდია

პრემიერლიგა
გადადებული მატჩი

გრეტნა 0:0 სენტ მირენი

მეორე დივიზიონი
გადადებული მატჩი

ერდრი 2:0 როსი

### დანია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ნიკიობინგი 0:0 ფრემი
იოლსტიკე 0:3 ჰელერუპი

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

ბრონდბიუ 3:0 მიდტიულანდი
კოპენჰაგენი 0:1 ესბიერგი

### შვედეთი

ალსვენსკა. III ტური

გეფლე 1:2 იურგორდენი
ნორჩიოპინგი 1:1 ტრელებორგი
ჰალმსტადი 1:1 გიოტებორგი

### სლოვენია

I ლიგა. XXVII ტური

პრიმორიე 0:2 ინტერბლოკი
ივანჩნა გორიცა 3:3 ნოვა გორიცა
კოპერი 3:1 ნაფტა
მარიბორი 5:2 პუბლიკუმი
დომჟალე 2:1 დრავა პტუი

### ჩეხეთი

თასის მეოთხედფინალი
პირველი მატჩები

ოლომოუცი 1:2 სპარტა
ტრინეცი 0:3 ლიბერეცი
ჟიჟკოვი 1:1 ბოჰემიანსი
იაბლონეცი 0:3 ბრნო

### პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩები

ლეხია 0:1 *ლეგია* (0:1)
პოლონია 2:3 *ზაგლები* (0:5)
*ვისლა* 2:1 არკა (0:0)

### შვეიცარია

ჩელენჯლიგა
გადადებული მატჩი

გოსაუ 1:2 ვილი

### ხორვატია

თასის ნახევარფინალი
პირველი მატჩები

დინამო 3:1 ზაგრები
ვარტექსი 1:1 ჰაიდუკი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge